პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის ხმა

1933 წ. ივნისი
პარიზი
№ 34
1933 — JUIN
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა :: «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ჩვენი საკითხი საფრანგეთში

როგორც წინეთ ვწერდით, თავდაუსხმელობის პაქტი დადებული საფრანგეთს და მოსკოვს შორის ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს დამტკიცდა ორივე ხელისუფლების მიერ. ამ პაქტის ერთ-ერთი მუხლი ეხება ჩვენ საელჩოს მდგომარეობას საფრანგეთში. მართალია თვით ტექსტიდან არ გამომდინარეობს მისი გაუქმების აუცილებლობა, მაგრამ მიცემული დაპირება მოსკოვისადმი და ის მუდმივი მოთხოვნილება, რასაც ბოლშევიკები აყენებდენ ეს თორმეტი წელიწადია ჩვენ საელჩოს შესახებ ქმნიან ატმოსფერას ჩვენს წინააღმდეგ. აქ უნდა გავარჩიოთ ორი მომენტი: ერთია საქართველოს იურიდიული უფლება იყოს დამოუკიდებელი და სუვერენი, მეორეა საელჩოს არსებობა, როგორც დიპლომატიური ორგანო ამ უფლებების საფრანგეთის მთავრობის წინაშე მატარებელი. პირველ შემთხვევაში საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით საქართველო უფლებრივათ სუვერენია, ხოლო ფაქტიურათ განიცდის ოკუპაციას. ამ თვალსაზრისზე დგანან ყველა პოლიტიკური წრეები, ვინც კი პატივს სცემს საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ეს არა ერთხელ დაადასტურა ერთა ლიგაში დიდმა და პატარა სახელმწიფოებმა.

საფრანგეთ-მოსკოვს შორის დადებული პაქტი 18 მაისს გახდა საგნათ პალატის დებატებისა. აქ ვრცლათ შეეხენ საქართველოს საკითხსაც და სწორეთ ზემოთ აღნიშნულ ორ მომენტს ხაზი გაუსვეს. ორატორებმა აღიარეს, რომ საელჩოს მოხსნა სრულებით არ ხსნის საქართველოს საკითხს, მის იურიდიულ უფლებებს და მის საერთაშორისო მდგომარეობას. ამ მხრით ჩვენი ამხანაგების და მეგობრების მუტეს და რენოდელის სიტყვები საგულისხმოა იმითაც, რომ მათმა ენერგიულმა დაცვამ საქართველოს უფლებებისა გამოიწვია პალატის საერთო თანაგრძნობა. გამოირკვა რომ საფრანგეთის დეპუტატები უწევენ რა ანგარიშს დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობას, კრავენ პაქტს მოსკოვთან, მაგრამ ამით ოდნავათაც არ იცვლიან თავის პოზიციას საქართველოს საკითხში.

აქვე ვათავსებთ ამ სხდომის ანგარიშს.

◆

საფრანგეთ-რუსეთის პაქტი
და
საქართველო

(საფრანგეთის დეპუტატთა პალატის 18 მაისის სხდომის სტენოგრაფიულ ანგარიშიდან)

მარიუს მუტე (სოციალისტი): ... პაქტის მიღება მიკარნახებს გავითვალისწინოთ ის მდგომარეობა, რომელშიც ჩავარდებიან ქართველი ემიგრანტები და ის შედეგი, რომელიც შეიძლება მოუტანოს მათ თავდაუსხმელობის პაქტის მე-5 მუხლმა.

ჩვენ საქვეყნოთ ვაცხადებთ ამას: ხალხთა თვითგამორკვევის უფლების ერთგული მომხრენი, ჩვენ არ შევწყვეტთ ჩვენი პროტესტის ამაღლებას იმ მოპყრობისათვის, რომელსაც განიცდის საქართველო.

ბ. ედუარდ სულიე. ძალიან კარგი!

მარიუს მუტე. სამი თარიღი ჰფენს ნათელს ამ საქმეს:

1920 წლის 7 მაისს, საბჭოთა კავშირის მთავრობა სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას.

1921 წლის 27 იანვარს მოკავშირე სახელმწიფოები, არისტიდ ბრიანის თავმჯდომარეობით, სცნობდენ საქართველოს სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთ.

მაგრამ, იმავე წლის 11 თებერვალს, ე. ი. ამ ცნობის ორი კვირის შემდეგ, წითელმა ჯარებმა გადალახეს, ომის გამოუცხადებლათ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს საზღვრები და ამ ხნიდან მოკიდებული არ დაუტოვებიათ მისი ტერიტორია.

ბ. დორიომ გვითხრა, რომ ქართველები თავის ბედს არ სჩივიან, რომ საქართველოს ლეგაცია უკვე არავის არ წარმოადგენს, რომ მათი ღრმა გავლენა რკინის გზის მუშათა შორის თფილისში თუ სხვაგან გაქრა.

მე მინდა ვერწმუნო ბ-ნ დორიოს სიტყვას. მაგრამ მე ვარჩევდი, რომ ქართველებს ჰქონოდეთ საშუალება თავისუფლად ელაპარაკნათ და თვით განეცხადებიათ ის პირობები, რომელშიც ისინი თანახმა იქნებოდენ მიმხრობოდენ საბჭოთა რესპუბლიკათა კავშირს (ტაში უკიდურეს მემარცხენეთა და სხვადასხვა სკამებზე).

ბ-ნმა დორიომ საქართველოს ლეგაციის დღევანდელი მდგომარეობა გაუთანაბრა იმ პირობებს, რომელსაც შექმნიდა ელზას-ლოტარინგიის ლეგაციის არსებობა ბერლინში. ჩვენ შეგვიძლია, ამ კრებაში ელზასის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა წინაშე, განვაცხადოთ პროტესტი ასეთ გათანაბრების წინააღმდეგ.

იმ დღემდე, როცა საქართველო თვით გადასწყვეტს თავისუფლათ თავის ბედს, და რომელიც უეჭველათ დადგება და ჩვენ გვინდა მალე დადგეს ის, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ არ გვწამს ომი უფლების აღსადგენ იარაღათ (ტაში უკიდურეს მემარცხენეთა და სხვადასხვა სკამებზე),—მე ვაცხადებ, რომ იმ დღემდე ვერავინ შეგვიშლის ხელს აღვამაღლოთ ეს პროტესტი უფლების სახელით ძალადობის წინააღმდეგ (ახალი ტაში).

მაგრამ ჩვენ ვიმყოფებით ფაქტიური მდგომარეობის წინაშე: 12 წელიწადია აღარ არსებობს ფაქტიურათ საქართველოს სახელმწიფოს სუვერენობა. აქედან გამომდინარეობს ზოგიერთი შედეგი საერთაშორისო უფლებრივი ხასიათისა, რომელიც, თავისთავათ ცხადია, ხელს უშლიან გამუდმებულ იქნას არსებობა ოფიციალური ლეგაციის, რომელიც წარმოადგენს უკვე აღარ არსებულ მთავრობას.

მაგრამ ჩვენ გვრჩება ყოველ შემთხვევაში უფლება მოვთხოვოთ ჩვენს მთავრობას—და საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია დაინახოს ამაში თავის უფლებათა დარღვევა—არა მარტო დაცულ იქნას ქართველებისათვის შეფარების უფლება, არამედ არ იქნას მიჩნეული პაქტის დარღვევათ ამ გადმოხვეწილთა წარმომადგენელი კოლექტიური ორგანიზაცია, რომელსაც არავითარი ხელისუფლების და ოფიციალური ხასიათი არ ექნება და რომელიც მიუხედავათ ამისა შეძლებას მისცემს მათ არ გრძნობდენ თავს საფრანგეთში ჩვენი პოლიციის უბრალო ქვეშევრდომათ (ძალიან კარგი! ძალიან კარგი!).

როგორც ჩვენ, არც ისინი ამყარებენ თავის იმედებს ომზე მათ უფლებათა განსახორციელებლათ. ისინიც, როგორც ჩვენ, მზათ არიან სტუმართმოყვარეობის კანონის თანახმად პატივი სცენ პაქტის მოთხოვნილებათ, რომელიც ჩვენ მიერ ღირსების კანონათ იქნება მიჩნეული.

ნუ დავტოვებთ მათ ჩვენი ადმინისტრაციული წესების ამარა იმ მომენტში, როცა, მეორეთ დამარცხებულნი, ისინი თავისი მწარე ბედის სიღრმეს სწვდებიან.

ედუარდ სულიე. ჩვენ სავსებით თანახმანი ვართ.

ედუარდ ერიო. ... ამის გამო უნდა ითქვას სხვათა შორის, რომ ის (პაქტი), როგორც ყოველივე პოლიტიკური აქტი, გულისხმობს ზოგიერთ შედეგებს.

აქ აღნიშნეს ასეთი შედეგები შესახებ საქართველოისა.

მე ვუღალატებდი საფრანგეთის ტრადიციას რომ არ განვაცხადო, რომ, მართლაც, ჩვენ ყოველივე ღონე უნდა ვიღონოთ, რათა იურიდიულ და დიპლომატიურ კეთილსინდისიერებას, რაიცა ჩვენი ეროვნული ლოიალობის მხოლოდ ერთი ფორმათაგანია, შეუთანხმოთ მთელი ის ყურადღება და მოფრთხილება, რაიცა გვმართებს იმ საქართველოს მიმართ, რომელიც მუდამ ცხად ჰყოფდა თავის უღრმეს ერთგულებას საფრანგეთისადმი და რომელსაც ჩვენ უდიდეს პატივს ვცემთ.

პიერ რენოდელი. ჩვენ სავსებით ვუერთდებით ამ პაქტს, მაგრამ ჩვენს ხმის მიცემას თან სდევს ერთგვარი მელანქოლია, ვინაიდან ის გვაიძულებს შევნიშნოთ, რომ დიდმნიშვნელოვანი საერთო ხასიათის აქტების გულისათვის იძულებული ვხდებით ხანდიხან მსხვერპლი გავიღოთ პოლიტიკურად ნაკლები მნიშვნელობის საკითხის ხარჯზე, მიუხედავათ უღრმესი თანაგრძნობისა ამ უკანასკნელის მიმართ. უეჭველია თქვენ უკვე ამოიკითხეთ აქ ის წუხილი, რომელიც ესეცაა გამოსთქვა ჩემმა მეგობარმა მარიუს მუტემ საქართველოს მდგომარეობის შესახებ. საქართველო, როგორც იცით, პატარა ქვეყანაა, რომლის იურიდიული და ფაქტიური დამოუკიდებლობა ცნობილია მრავალი სახელმწიფოს მიერ და მათ შორის საფრანგეთის მიერ. საქართველოს დამოუკიდებლობის პრობლემაზე ერთა ლიგის მიერ გამოტანილ იქნა ამ ქვეყნისათვის სასარგებლო და მნიშვნელოვანი მოსაზრებანი.

უნდა ვიფიქროთ თუ არა დღეს, რომ საფრანგეთ-საბჭოთა რუსეთის პაქტი სცვლის რამოდენიმეთ საქართველოს მდგომარეობას საფრანგეთის მიმართ?

მე ვიცი—და ეს არ დამიმალავს არც ჩემი ქართველი მეგობრებისათვის—რომ მას შემდეგ რაც 12 წელმა განვლო ძნელი წარმოსადგენია, რომ არსებობა იმ მთავრობისა, რომელსაც ამა თუ იმ მიზეზის გამო თავისი ქვეყანა დაუტოვებია, მიჩნეულ იქნას როგორც განუსაზღვრელი და მუდმივი.

და ვინაიდან ჩვენ ვაღვიარებთ ამ სიძნელეს, არ გვაქვს განზრახვა მოვთხოვოთ მთავრობას შეინახოს ის ფორმულები და ის ჟესტები, რომლითაც აღნიშნულია ამა თუ იმ მთავრობის ცნობა.

მაგრამ მე მოსურნე ვიქნებოდი, რომ, მოიგონებს რა საფრანგეთის მიერ თავის თავზე აღებულ ვალდებულებათ, რესპუბლიკის მთავრობამ არ დაივიწყოს ერთი რამ: რომ მან თავისთავს არ მოსთხოვოს ნაკლები იმისა, რაც ჩაუდენიათ შორეული წარსულის მთავრობებს, როდესაც საქართველო ანექსია ქმნილ იქნა ცარიზმის მიერ, თუ არ ვცდები 1801 წელს. მე ვისურვებდი, რომ რესპუბლიკამ არ დაივიწყოს, რომ მან არ სცნო ის, რაც იყო ანექსია ძალის საშუალებით.

მე დავუმატებ, რომ უფლებას ვერ მოშლის ძალა, ისე როგორც ვერ მოშლის მას დროც, როცა საქმე ეხება ერის თვითგამორკვევის უფლებას და როცა იმ ერმა, რომლის ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა ეს პატარა ქვეყანა, თვით სცნა მისი დამოუკიდებლობის უფლება.

მე აღარ გავაგრძელებ. ჩემი მეგობარი, მარიუს მუტე, ესეცაა გამოსთქვამდა ერთ იმედს. მეც მინდა გამოვთქვა იმედი, სახელდობ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მოგვევლინება ერთ დღეს კეთილი შეთანხმებისაგან თვით საბჭოთა რუსეთთან და რომ ბოლოს და ბოლოს ეს უკანასკნელი შეძლებას მისცემს ქართველებს თავისუფლად გამოსთქვან თავიანთი აზრი თავისი მმართველობის ფორმის და ამა თუ იმ სახელმწიფოსან დაკავშირების შესახებ.

◆

ჩვენს შორის

ქართველ პოლიტიკურ ემიგრაციაში რიცხვით და წონით მთავარ როლს თამაშობს მისი ს.-დ. ნაწილი. ეს არც შეიძლებოდა სხვანაირათ ყოფილიყო. საქართველოში მომუშავე და მებრძოლ პარტიებს უნდა მოეცათ თავისი მიმდევარნი უცხოეთში მათივე რიცხვის და წონის მიხედვით. გადმოხვეწილთა დიდი უმრავლესობა წამოსულია იძულებით, გადმოსახლებულნი მტარვალთა მიერ პირდაპირ, ან გამოქცეულნი მათი დევნისაგან და ჩეკის კლანჭებისაგან. ძლიერ მცირე ნაწილი წამოსულა თავის ნებით სხვადასხვა დავალებებით უცხოეთში ჩვენი საქმისათვის სამუშაოთ. ეს ორი ნაწილი ს.-დ. ემიგრაციისა აქ, უცხოეთში, გახდა ერთიმეორის ხელისშემწყობათ და დამატებათ. მათი მოქმედების ხაზს და ორგანიზაციულ კალაპოტს იძლეოდა მებრძოლი პარტია საქართველოდან. ხოლო თვით პარტია თავის გეზს აგებდა ერის მდგომარეობაზე და სულისკვეთებაზე. ასე რომ საბოლაოთ, მთელი პოლიტიკური ემიგრაცია იმყოფებოდა სამშობლოს ცხოვრების და ბრძოლის კალაპოტში და მით ინახავდა თავის მთლიანობას და ერთათ დარაზმულობას.

დრო გავიდა, მდგომარეობა გახანგრძლივდა, ემიგრაციას დაღლილობა შემოეპარა, ეჭვები დაიბადა, ვაი თუ სამშობლოში მებრძოლი ორგანოები აღარ არსებობდესო, შემაერთებელი პსიქოლოგიური ძაფები დასუსტდა, ალაგ-ალაგას დაწყდა; ამ გარემოებამ შეარყია პარტიის ავტორიტეტი, მისი კალაპოტი მოიშალა, მის ხმას არ მიეცა ძველებური გამოხმაურება. დაიწყო ურთიერთ შორის შუღლი და განხეთქილება. ეს სენი მოედვა ყველა პარტიას, ამათ შორის ჩვენსასაც. ამ დავის საფუძველი არ არის პოლიტიკური ხასიათის; დღემდის არავის, არც ერთ მოდავე მხარეს არ წამოუყენებია ბრძოლის ხაზი, განსხვავებული საქართველოში შემუშავებულისა და იქიდან ჩვენთვის ბოძებულისა. რასაკვირველია, არიან ისეთები, რომელთაც ბრძოლა არ სურთ თუ არ შეუძლიათ, მაშასადამე არც ბრძოლის ხაზი აქვთ, საზოგადოთ ჩვენი დროშის ჩამოხსნას ელტვიან. ესენი ამოვარდნილია მებრძოლი საქართველოდან და არც გასაკვირალია თუ იქიდან მოსულ შემოძახებას არავითარ ანგარიშს არ უწევენ. მაგრამ ყველა ბრძოლის ხაზზე მდგომნი და იმავე დროს ერთმანერთში მოდავენი პოლიტიკურათ გაერთიანებულია, ერთი დროშის ქვეშ თავმოყრილია.

ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის და ტაქტიკის საფუძველი—საქართველოს სუვერენობის აღდგენა და ამ მიზნით ყველა დაჩაგრულ ერებთან დაკავშირება და საერთო მებრძოლი ფრონტის შექმნა—გაზიარებულია ყველა პოლიტიკური პარტიების მიერ.

სოციალდემოკრატია დგას ამ ხაზზე, დგას არა მარტო დროებით, მიმდინარე მომენტში, არამედ მუდამ, რუსეთის ყოველნაირ რეჟიმში, სანამ მთავარი მიზანი მიღწეული არ იქნება. ჩვენი ნაციონალური დროშა გაიმარჯვებს მხოლოდ ამ ინტერნაციონალური შეკრებულობით. ქართველი ერის ხმას მრავალი სხვა ერების ხმასან ერთათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ყველა დიდ ისტორიულ გადატეხაში.

სოციალდემოკრატია ამ ხაზით ეკავშირება და ენათესავება ყველა ქართველ მებრძოლ ნაციონალურ პარტიას. ეს არის მათი საერთო ნიადაგი, საერთო ფრონტი. მაგრამ მას აქვს თავისი საკუთარი ნიადაგი, საკუთარი ფრონტი, რომლის შერყევა და შეშლა შლის მთელ პარტიას და მით მთელ ნაციონალურ საქმესაც.

ქართველ სოციალდემოკრატიამ დარაზმა ქართველი ხალხი საკუთარ სოციალურ და პოლიტიკურ პლათფორმაზე. მისი იდეოლოგია, მისი მოთხოვნილებანი, მისი საბოლაო მიზანი ამ დარაზმულობის გზა და ხიდია. ხალხი დადგა დამოუკიდებლობის დროშის ქვეშ იმიტომ, რომ დაინახა, დარწმუნდა ჩვენი იდეოლოგიის განხორციელების შესაძლებლობაში მხოლოდ ნაციონალური თავისუფლებით. როცა უზარმაზარი იმპერიის კიდიდან კიდემდე ცეცხლი ტრიალებდა და ანარქია ბობოქრობდა, ერთათ-ერთ საქართველოში მწყობრათ და მშვიდობიანათ ტარდებოდა დემოკრატიის ყველა ძირითადი პრინციპები, ერი და ხალხი ერთათ სუვერენობდა. ეს უდიდესი საისტორიო მოვლენა დაედვა მიჯნათ ძველს და ახალ საქართველოს, საქართველოს ქედ მოხრილს, თავის თავის ბატონობაში დაეჭვებულს, არა-ნაციონალურათ განწყობილს და საქართველოს ახალს, რევოლიუციურს, თავის თავში დარწმუნებულს, დემოკრატიულს და ნაციონალურს. ხალხის და ერის ინტერესი გაისკვნა სოც.-დემოკრატიის იდეოლოგიის ნიადაგზე და ეს პარტია გადაიქცა მათი შემაერთებელი და მეთაური. ამ კავშირის გარღვევა, ერის ინტერესის გამოტანა ხალხის ინტერესების გარეშე, მათი დაპირდაპირება. ეს ანგრევს მთელ მოძრაობას, მთელ საქმეს.

მაშასადამე, სოციალდემოკრატობისათვის არ კმარა იზიარებდეთ საერთო ნაციონალურ დროშას; სავალდებულოა ამასთანავე იზიარებდეთ ჩვენი პარტიის იდეოლოგიას, მის გმირულ წარსულს, მის აწმყოს და ამით აკავშირებდეთ ხალხს ერთან. ამ გზაზე მიდის ჩვენი ახალი ისტორია და კაფავს მომავლის მიმართულებას. ჩვენთვის მიუღებელია როგორც ნაციონალური ნიჰილიზმი, ისე ნაციონალური შოვინიზმი. ეს გზა ნათელია სამშობლოში. იქ ხალხის ჭირ-ვარამი, მისი გაჭირება და უმწეობა ქმნის ნაციონალური იდეოლოგიის ატმოსფერას, მის ჩარჩოს, მის მამოძრავებელ ძალას. ამიტომ ჩვენი პარტია რადიკალურათ განწყობილია არა მარტო ნაციონალურ საკითხში, არამედ სოციალურშიც. ხალხის ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობა წარმოდგენილია ნაციონალური ბატონობის ჩარჩოში.

სულ სხვაა ემიგრაციაში; აქ ჩვენ გამოშორებულნი სამშობლოს რეალური პირობებისაგან, ხალხის მდგომარეობისაგან, გამოკიდულნი ასე ვთქვათ ჰაერში, ნიადაგს მოკლებულნი, ადვილათ ვხდებით ტყვეთ რომანტიული და ფანტასტიური აზროვნებისა. ემიგრაცია ჩვეულებრივათ ხედავს ერს, ვერ ხედავს ხალხს. აი ამ დაუნახავობამ შეიტანა რყევა ს.-დემ. ემიგრაციაში და დაიბადა ეჭვი პარტიის იდეოლოგიაში. პარტიის პატრიოტიზმი დასუსტდა, ჯგუფური პატრიოტიზმი გაძლიერდა.

თავისთავათ ცხადია, რომ ასეთ ემიგრანტულ ატმოსფერაში ყოველივე წვრიმალი იღებს სახეს დიდი გარემოებისას და პატარა უთანხმოება იბერება. ორგანიზაციული უთანხმოება დაედვა საფუძვლათ ს.-დემ. რიგების რყევას და აქეთ-იქით მიდგომ-მოდგომას. ბევრი მართლაც ამით ხატავდა თავის უკმაყოფილებას, მაგრამ ბევრი ამასთან ერთათ ხატავდა უფრო დიდ და ღრმა გადახრას პარტიის ხაზისა და იდეოლოგიისაგან. პირველი ჯურის უთანხმოება დღეს სავსებით ამოწურულია, ამას მოწმობს ჩვენი გაზეთის ამ ნომერში მოთავსებული პარტიის ბიუროს მიმართვა. ყველა პარტიული ამხანაგი ამ მიმართვას სიხარულით შეხვდება და მას ასრულებაში მოიყვანს. ამ ხაზზე არასოდეს არ იქნება დაბრკოლება შეთანხმების და საერთო ენის გამონახვისათვის. მთავარია არა ეს დროებითი და ზერელე განსხვავება, არამედ ნაციონალური, სოციალური და პოლიტიკური გადახდომ-გადმოხდომა, რაიცა დღეს წარმოებს აზროვნებაში და ხვალ შეიძლება იწარმოოს პრაქტიკაში. აი ამ მეორე მომენტს საფუძვლიანათ უნდა დაუფიქრდენ ყველანი თუ კიდევ დღეს ვინმე ყოყმანობს, მისი ვალია მთელი საბუთების აწონ-დაწონვით გადმოდგან ნაბიჯი ბიუროსაკენ, პარტიისაკენ, ძველი შინისაკენ. პარტიული მთლიანობის აღდგენა, პარტიული მუშაობის აწყობა, დღევანდელი საჭირბოროტო საკითხების გარკვევა და შესწავლა დაუბრუნებს პარტიულ სულს ჩვენს ორგანიზაციებს, აღადგენს ამხანაგურ და მეგობრულ ურთიერთობას გათიშულთა შორის, მოგვცემს ერთ მთლიან სოც.-დემ. ემიგრაციას, რომლის სიტყვა და საქმე გადაიქცევა ავტორიტეტულ მოვლენათ, გახდება ბრძოლის ერთ ძლიერ ელემენტათ. აი ასეთი ორგანიზაციების კონფერენცია და მასზე გამოტანილი საერთო სულისკვეთება მართლაც მიზანშეწონილი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასურველი იქნება. ჩვენ გვინდა ერთობა საქმისათვის მტრის წინააღმდეგ და არა ბრძოლისათვის ერთიმეორის წინააღმდეგ.

საერთაშორისო მდგომარეობა დამძიმებულია, პოლიტიკური ცა მოღრუბლულია და ჭექა-ქუხილისათვის მომზადებულია, ვის რა ტალღა წაიღებს, ვის რომელი ქარ-ბუქი დაახრჩობს არავინ იცის. დიდი ერებიც კი შეშინებულია, ყველა ამაგრებს თავის პოზიციას, აგებს ჯეფირებს და ეძებს სიმაგრეს. ჩვენი პატარა ერის სიმაგრეა მისი ერთობა, მისი ერთათ დგომა. ეს ერთობა პოლიტიკურათ გამოიხატება მხოლოდ მის მოწინავე მებრძოლ დაჯგუფებათა ერთობაში და ავტორიტეტის მოპოვებაში. ამ მოთხოვნილებას ამ მძიმე მომენტში პასუხი უნდა გასცეს ყველა ანტისაბჭოთა პარტიამ, პირველ რიგში კი სოციალდემოკრატიამ. რყევა, ერთი ალაგის ბეკნა დაუშვებელია; ჩვენ მივმართავთ პარტიის ყველა ერთგულ გადმოხვეწილ წევრთ დადგენ თავის სადარაჯოზე და ძველებურათ, პარტიულათ ხელიხელ ჩაკიდებულნი მუშაობდენ მებრძოლი პარტიის გასამაგრებლათ, მებრძოლი ერის გასამარჯვებლათ.

ნ. ჟორდანია.

◆

პოლიტიკური მიმოხილვა

(თვიდან თვეზე)

ჩვენი გაზეთის ამ განყოფილებას მხოლოდ ერთი დანიშნულება აქვს: მიაწოდოს მკითხველთ საერთაშორისო მდგომარეობის მიუდგომელი დაფასება. «ბრძოლის ხმის» საერთო ჩარჩოებში იგი ფართო ხასიათის საინფორმაციო დარგათ გვინდა დარჩეს. ასეთია ჩვენი სურვილი და მკითხველი უკეთ დააფასებს რამდენათ დასახულ მიზანს მივაღწიეთ.

—

15 წელია თითქმის რაც დიდი ომი შეწყდა. დროის ასეთი მანძილი მთელი ეპოქაა ხალხთა ცხოვრებაშიაც. მიუხედავათ ამისა არამც თუ დღესაც არ გამქრალა ამ საშინელი სისხლის ღვრის ნიშნები, არამედ კაცობრიობა ახალი ომის საშიშროების წინაშე სდგას. ირგვლივ ყველა ზავზე ლოცულობს. დიდი თუ პატარა, დემოკრატი, თუ ფაშისტი, ყველას თავი შეურყეველ პაციფისტათ მოაქვს: მიუხედავათ ამისა საერთო უნდობლობაა გამეფებული და ერთმანეთის არაფერი არ სჯერათ. განიარაღების კონგრესი ჟენევაში შეუწყვეტლივ სხდომობს, განიარაღების ფორმულებს ეძებს, სინამდვილეში კი თვითეული სახელმწიფო დღე და ღამ იარაღის მზადებაშია, მილიარდებს ხარჯავს თავდაცვის საქმეში, ამაგრებს საზღვრებს და საომრათ ემზადება. ჩვენ გვჯერა ერთი რამ, ეს ის რომ ომის ყველას ეშინია. ასეთი სულიერი განწყობილების მაგალითს სწორეთ ის რეჟიმი იძლევა, სადაც მილიტარისტული სულით არის გაჟღენთილი მთელი სახელმწიფო აპარატი—მოსკოვი. იაპონიამ წარმოუდგენელი ცინიზმით მოგლიჯა ჩინეთს საუკეთესო მისი ნაწილი და «დამოუკიდებელ» სახელმწიფოთ გამოაცხადა. ამასთან დაკავშირებით ფაქტიურათ ხელში ჩაიგდო აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა, ეს რუსეთის მთავარი მაგისტრალი და მისი შორეულ აღმოსავლეთში გავლენის უძლიერესი და აუცილებელი ძარღვი; დღეს თუ ხვალ იაპონია ხელს დაადებს და მიისაკუთრებს ზღვის პირის ოლქს ვლადივოსტოკით; ყოველივე ეს ხდება თავდაპირველათ რუსეთის წინააღმდეგ და რუსეთის ხარჯზე, მაგრამ მიუხედავათ ამისა რეჟიმს, რომელსაც თავი მოაქვს უძლიერესი ჯარით; რომელიც წითელ მოედანზე, მოსკოვში, სამხედრო ტექნიკის უკანასკნელ სიტყვით აკვირებს უცხოელთა წარმომადგენელთ და შიშსა გვრის შიმშილით გამოლაყებულ რუსის მუჟიკს, ვიმეორებთ ამ რეჟიმის წარმომადგენელთ ხმა ვერ ამოუღიათ იაპონიის წინააღმდეგ და მხოლოდ ისღა მოახერხეს, რომ ჩინეთის რკინის გზა სავაჭრო საგნათ გახადეს. ერთი სიტყვით ჩვენ ვიცით რომ ზოგჯერ «შიში შეიქმს სიყვარულს» ე. ი. რომ შესაძლოა იყო უკიდურესი მილიტარისტი, მაგრამ შენი მდგომარეობის დასადავათ, გიხდებოდს ძალაუნებურათ ლაპარაკი ზავზე და კაცთა შორის სათნოებაზე. მაგრამ ჩვენ ვიცით წინააღმდეგი შემთხვევებიც, როცა დრო მოჭმული რეჟიმი სწორეთ სამხედრო ავანტიურებში ეძებს გამოსავალს და ხსნას.

ამიტომ საერთაშორისო ზავის შესანარჩუნებლათ სულ სხვა ბაზაა აუცილებელი. ეს ბაზა სახელმწიფოთა ისეთ ურთიერთობაშია, როცა დიდი ერი ვერ შესძლებს პატარის ინტერესების შელახვას და მისი უფლების გათელვას. ასეთ მდგომარეობიდან დღეს ჩვენ კიდევ შორს ვართ. უფრო შორს ვიდრე ათითორმეტი წლის წინეთ, როცა მოწინავე კაცობრიობა დიდ იმედს ამყარებდა ერთა ლიგაზე; დღეს მიუხედავათ ამ უკანასკნელის არსებობისა საერთაშორისო მდგომარეობა გაცილებით უფრო რთულია და ომის შესაძლებლობა უფრო მეტი ვიდრე წინეთ. წარსულში მუდმივ ზავზე არ ოცნებობდენ, მაგრამ დროებითი მშვიდობიანობა მაინც უზრუნველყოფილიყო იმ ეკილიბრიბით, რომელსაც დიპლომატიური დიდი კონგრესები ქმნიდენ. ვენის კონგრესმა (1815 წ.) ორმოცი წლის მშვიდობიანობა მისცა ევროპას და თითქმის ამდენივე ბერლინისამ (1878); უკანასკნელ ომის შემდეგ ეს სისტემა სრულებით შეიცვალა. მართალია ვერსალის ხელშეკრულებამაც შექმნა თავისი Status quo, მხოლოდ ამ უკანასკნელს არ აღმოაჩნდა დამცველი ძალა. ყოველ შემთხვევაში მას არ იცავს, ვისიც მოვალეობა იყო მისი დაცვა. გუშინდელი მოკავშირენი ერთმანეთს გადაუდგა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვერსალის დოკუმენტი უარყო; ინგლისი, დაშინებული საფრანგეთის პრესტიჟის გაძლიერებით, გერმანიისაკენ გადიხარა, იტალია დამოუკიდებელი, საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული ხაზი აიღო და ამნაირათ ვერსალის Status quo საფრანგეთის, პოლონეთის და მცირე ანტანტის (ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავიანეთი და რუმინეთი) ამარა დარჩა. ციფრების ენით რომ ვილაპარაკოთ ვერსალის «Status quo»-ს ევროპაში აშკარათ ებრძვის 300 მილიონი სული და მას კი იცავს დაახლოვებით ასი მილიონი. თემთა პალატაში ჩერჩილმა განაცხადა, რომ მას მშვიდობიანობის ერთად ერთ გარანტიათ საფრანგეთის ჯარი მიაჩნია და მართლადაც, რომ საფრანგეთის სამხედრო სიძლიერე არა, ვერსალის ტერიტორიალური გადამიჯვნიდან 24 საათში მხოლოდ მწარე მახსოვრობა დარჩებოდა.

რათ უნდა გვიკვირდეს ამის შემდეგ ის პსიქოლოგიური და პოლიტიკური ორონტრიალი, რომლის სურათს ორივე კონტინენტი იძლევა. მთელი ეს სერია სხვადასხვა პაქტებისა, რომლებიც ხშირათ ერთმანეთს ეწინააღმდეგება, იმის მომასწავებელია, რომ მშვიდობიანობა ჰაერშია გამოკიდებული, რომ მას საძირკველი არ აქვს; რომ იგი შემთხვევაზე არის დამოკიდებული და ეს სრულიათ ლოღიკურია, ვინაიდან სიცალიერეს ბუნებასთან თანაბარათ ვერც საზოგადოებრივი ცხოვრება ითმენს: თუ ძველი, სახელმწიფოთა ცალკე დაჯგუფების სისტემა მოისპო, მისი ადგილი სხვა სისტემას, უფრო დროსთან შესაფერს, უნდა დაეჭირა. ამას ჩვენ ვერ ვხედავთ. სამწუხაროთ ერთა ლიგა, ეს იდეალური კონცეპცია სახელმწიფოთა თანამშრომლობისა, სადაც დიდი ერი და პატარა ერთნაირად გაიზიარებდა უფლებას და პასუხისმგებლობას მშვიდობიანობის დაცვის საქმეში, უდღეური გამოდგა.

ამ უბედურების მიზეზების გარკვევას აქ ჩვენ ვერ შეუდგებით, ეს ძლიერ შორს წაგვიყვანდა, ვიტყვით მხოლოდ, რომ ახალ ღვინოს ძველ გუდაში არ ასხამენ. ერთა ლიგის ხერხემალი თვითეული ერია, მშვიდობიანობის მიზნით გამსჭვალული, ერთა სოლიდარობის სულით შეკრული და სხვა მოწინავე იდეებისათვის ბრძოლაში ჩაბმული. ამ უკანასკნელ ეპოქის ერთ მომენტში კაცობრიობის ცაზე მართლადაც ამობრწყინდა ვარსკვლავი იმედის მომცემი, მაგრამ სამწუხაროთ იგი მალე ჩაქრა; რუსეთის რევოლიუცია იქცა ბოლშევიკურ ტირანიათ. სადაც კი არ გაეკარა ეს უკანასკნელი, ყველგან დაშალა მუშათა მოძრაობა, დაასუსტა დემოკრატია და ფართეთ კარი გაუღო რეაქციას. აშკარაა, რომ ეს გარემოება ხელს ვერ შეუწყობდა ერთა ლიგის გავლენის ზრდას. დღეს უკვე ვხედავთ, რომ მას დამცველი არ ყავს. მის გარშემო და მის ხარჯზე სწარმოებს საერთაშორისო დიპლომატიური საქმიანობა. ოთხთა შორის პაქტი, რომლის ავტორი მუსოლინია და ეს არაა შემთხვევითი, არსებითათ ეწინააღმდეგება ერთა ლიგის იდეას. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეს სამუდამო იყოს: კაცობრიობის განვითარების გზა მიუხედავათ ათასგვარ დაბრკოლებათა მაინც პროგრესისაკენ მიდის.

მ. წერეთელი.

◆ ◆ ◆

„ბრძოლის ხმის“ ექსპედიციისაგან

ხელის მომწერთ ვთხოვთ გაზეთის ხაფასური
ყოველ სამი თვით იხადონ.

«ბრძოლის ხმის» გამოწერა შეიძლება
ამხ. პ. სარჯველაძესთან შემდეგი მისამართით:
M-r P. Sardjveladze
2, rue de Varenne. Paris (7)

გერმანიის სოციალდემოკრატია

როცა ჰიტლერმა გერმანიის და საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის გასაბიაბრუებლათ 17 მაისისათვის რეიხსტაგის საგანგებო სხდომა მოიწვია, გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიის გახახლებულ ცენტრალურ კომიტეტმა ამის გამო დადგენილება გამოიტანა, რომ სოციალდემოკრატიული ფრაქცია ამ სხდომას არ დასწრებოდა და ჰიტლერის მიერ მოწყობილ მორიგ კომედიაში მონაწილეობა არ მიეღო.

მიუხედავათ ამისა 17 მაისს დილით, რეიხსტაგის კრების გახსნის წინ, სოციალდემოკრატიულ ფრაქციის 120 წევრიდან შეკრებილა 70 კაცი, რომელთაგან 50 დეპუტატი შემდეგ სხდომას დასწრებია. ამ უკანასკნელთა შორის არ ყოფილა არც პარტიის თავმჯდომარე ოტტო ველსი და არც ფრაქციის ლიდერი—ბრაიტშაიდი.

ჰიტლერის საზეიმო სხდომაზე დამსწრე სოც.-დემოკ. სხვებთან ერთათ სრული ნდობა გამოუცხადეს და ხმა მისცეს მას, ვინც დაანგრია და გაანადგურა პროფესიონალური კავშირები და სოც.-დემოკრატიული პარტია, ვინც აღკვეთა გერმანიაში ყოველგვარი თავისუფლება და გაამეფა საშინელი ტერორი, ბარბარისულათ მოედნებზე დასწვა გამოჩენილ და ცნობილ მეცნიერთა და მწერალთა ნაწარმოებნი და მთელი ერი საშუალო საუკუნოების ინკვიზიციის ხანებში გადაისროლა.

ამ დეპუტატთა საქციელმა, სამართლიანათ, საერთო განცვიფრება გამოიწვია და ევროპის სოციალისტურ წრეებზე მეტათ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა.

სოციალისტური ინტერნაციონალის ბიურო აცხადებს, რომ 50 დეპუტატთა მოქმედება ეწინააღმდეგება ინტერნაციონალის პრინციპებს და იმედს გამოსთქვამს, რომ გერმანიის მუშათა კლასი დეპუტატთა ამ საქციელს არ იზიარებს. ინტერნაციონალი ხაზს უსვამს იმას, რომ ჰიტლერის ტერორისტული რეჟიმი არ კმაყოფილდება მუშათა ფიზიკური შეურაცყოფით და ძალადობას ახდენს აგრეთვე მათ წარმომადგენლების სინდისზედაცო.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს 50 დეპუტატი რეიხსტაგის სხდომაზე ძალით არავის მიუყვანია, ისინი იქ თვითონ მივიდენ.

რატომ, რა მიზნით?

ზოგი ფიქრობს, რომ მათ მიზნათ ლეგალური საშუალების გამოყენება აქვთ. მაგრამ ეს ლეგალური საშუალება ჯერ-ჯერობით გამოყენებულ იქნა ჰიტლერის და არა სოციალდემოკრატიული პარტიის სასარგებლოთ.

უცხოეთის პრესა აღწერს 17 მაისის რეიხსტაგის სხდომას, სადაც სხვა დეპუტატებთან ერთათ სოც.-დემოკრატებიც ჰიტლერს ფეხზე ადგომით ხვდებოდენ და მას ნდობას უცხადებდენ. ამან სენსაცია გამოიწვია და სხვათა შორის მათ ტაშს თურმე ჰიტლერი და კრონპრინციც უკრავდენ.

50 დეპუტატთა მოქმედება შემთხვევითი მოვლენა არ არის. ეს მათი მხრით გერმანიის ხალხის დღევანდელი ნაციონალისტური აისხოზის ტალღის აყოლაა.

რევოლიუციის დროს, თუ რევოლიუციის შემდეგ გერმანიის დემოკრატიულ და სოციალდემოკრატიულ პარტიების მიერ წარმოებულ პოლიტიკას უდევს უთუოთ ბევრ რამეში ბრალი, რომ დღეს გერმანიაში ასეთი მდგომარეობაა.

ამ ათი უკანასკნელი წლების განმავლობაში გერმანიის სოციალდემოკრატია ბურჟუაზიულ მთავრობების, «მოთმენის» მათთან შეგუების, მათი მხარის

ეტატიზმი *)

ჰიტლერის უმაგალითო გამარჯვება, გერმანიის მოქალაქეთა დიდი უმრავლესობის მისი დროშის ქვეშ დადგომა, მისი ნაციონალურ ბელადათ გამოცხადება ისეთი დიდი საქვეყნო ისტორიული მოვლენაა, რომ სამართლიანათ მიიპყრო მან მსოფლიოს ყურადღება. ამ გარემოებამ შეარყია კაცობრიობა პოლიტიკურათ და იდეოლოგიურათ. გამოჩნდა ხალხის გულში ახალი მიმდინარეობა, ახალი ტალღა, თითქოს უჩინარი და მოდუნებული მრავალ წელთა განმავლობაში და დღეს, უცებ, ერთბაშათ ქვესკნელიდან ამოხეთქილი. ამ მოულოდნელ სანახაობამ საზოგადოება ჯერ გააშტერა, შემდეგ გააოცა და ააღელვა. გამოირკვა რომ ის მას არ ელოდა, არსებული სინამდვილე მას არ იძლეოდა, გავლილი ეტაპის ლოღიკურ დასკვნათ ის არ მიაჩნდათ და ციდან ჩამოვარდნილ ღვთის რისხვათ გასალდა. ყველა სახელმწიფოთა შორის ამ «ღვთის რისხვას» მხოლოდ ორმა გაუწოდა ხელი და დაუახლოვდა—იტალიამ და მოსკოვმა. მაშინ როდესაც ყოველგან ფართო საზოგადოებრივი აგიტაცია და მასიური მოძრაობა გაჩაღდა მის წინააღმდეგ, სტალინის და მუსოლინის საბრძანებელში არავითარი ამის მსგავსი მოძრაობა, რაიმე ფართე მასიური პროტესტი არ ყოფილა და ჰიტლერიზმი უხილავ ბოროტებათ არ გამოცხადებულა. გულს გული იცნობსო ნათქვამია; ამ სამი ერის სამმა დიქტატორმა იცნეს ერთმანეთი. არა უკვირთ რა ერთიმეორის; მაშასადამე აქვთ რაღაც საერთო, საერთო ხაზი, საერთო საფუძველი, რომელზედაც თვითეული თავისებურათ აგებს თავის შენობას. ესენია ერთიმეორის შეგნებული მიმდევარნი.

მაგრამ არიან მათივე შეუგნებელი მიმდევარნი, მათი ძირითადი ნიადაგის მიმღები და ამყოლნი, მხოლოდ ზედ აგებული პოლიტიკური წყობილების უარისმყოფელნი. თანამედროვე დემოკრატია, რომელიც ასე გულწრფელათ აღელვებულია გერმანიით, სინამდვილეში სავსებით იზიარებს მის ძირითად ტენდენციას, ემსახურება მას, მხოლოდ შუა გზამდე, არ აგრძელებს ბოლომდე.

ეს ტენდენცია სისწორით აღნიშნა მუსოლინმა, მან დასწერა: «მეცხრამეტე საუკუნე იყო საუკუნე პიროვნების, მეოცე საუკუნე კი ეკუთვნის სახელმწიფოსო!»

და მართლაც, დიდი რევოლიუციის მიერ ამართული და გამარჯვებული დროშა ადამიანის და მოქალაქის უფლებისა ჩვენ თვალწინ ეკეცება, ფრთები ეკვეცება და მის ალაგს იჭერს დროშა სახელმწიფოს ყოვლადშემძლებლობისა და ბატონობისა. პიროვნების კულტი დაბლა ეშვება, სახელმწიფოს კულტი მაღლა იწევს. ძველი სახელმწიფო, სახელმწიფო მხოლოდ ადამიანთა მართველი, კვდება, მოდის სახელმწიფო ნივთიერი ცხოვრების მართველი. ეს არის საერთო, საყოველთაო მოვლენა. სხვადასხვა ფორმით და სახით ამუშავებული, მაგრამ არსებითად ერთი ხისაგან გამოჭრილი. რუზველტის «საგანგებო უფლებები» და მუსოლინის პარტიული დიქტატურა მოდის ერთი და იმავე ძირიდან—დაბან თავისუფალი პიროვნება და აუშვან დაბმული ხელისუფლება. თვით მართლმორწმუნე ლიბერალიზმიც კი დღეს იძულებულია აღიაროს, რომ «უსაზღვრო თავისუფლება აღარ არის მოსათმენი, ვინაიდან მისი ბოროტმოქმედება ბადებს მეტათ ბევრ კერძო და საზოგადო უბედურობას» *). გეგმიანი ეკონომიკა დღის წესრიგში დგება, დაგეგმილი არა საზოგადოების, არამედ სახელმწიფოების მიერ.

ეს ტენდენცია გაიშალა სხვადასხვა ფორმით: ბოლშევიკურათ, ფაშისტურათ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულათ; მოსკოვმა ის მიიყვანა ლოღიკურ დასკვნამდე, ბიუროკრატიამ დაიმორჩილა მოქალაქე სულიან ხორციანა, მუსოლინი დაეყრდნო კერძო საკუთრებას იმ პირობით, რომ თვითონ იყოს მისი ხელმძღვანელი, მბრძანებელი და მართველი, ჰიტლერი დგება მოსკოვ რომის შუაში, საფრანგეთში დემოკრატიული მართველობა ეპატრონება აშობილ მოქალაქის ჯიბეს, მის შემოსავალს, მის ქონებრივ ავლადიდებას; ის სცნობს კერძო ეკონომიკას, იმ პირობით რომ მისი შემოქმედების დიდი ნაწილი თვითონ იგდოს ხელში.

ასე იშვა თანამედროვე ეტატიზმი და ის ძლევამოსილათ ვითარდება.

ინდივიდუალიზმის და ეტატიზმს შორის ატყდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

რით აიხსნება სახელმწიფოს მნიშვნელობის ასეთი უეცარი გადიდება? ამის უახლოესი წარმომშობია დიდი ომი. ყველა მეომარი სახელმწიფო იძულებული გახდა საერთაშორისო ურთიერთობის დასუსტების გამო თავისი საკუთარი ძალღონით მოეწესრიგებია საშინაო ეკონომიკა და მით ეხსნა ხალხი შიმშილისაგან, ომი წაგებისაგან. სახელმწიფომ აიღო სამი ფუნქცია: მართველობა ადამიანის, წარმოების, ალებ-მიცემობის და ურთიერთობის; გერმანიაში ამას ეწოდა «იძულებითი ეკონომია». «ომის განმავლობაში, სწერს ვანდერველდე, ყველა მეომარ ერებში იფეთქა და საშინლათ განვითარდა ეტატიზმი: ხდება ტრანსპორტის რეკვიზიცია, წესდება სრული კონტროლი ნახშირზე, ცხადდება პურის მონოპოლია, საზოგადო განაწილება კვების მასალის, ერთი სიტყვით, თავისუფალი კონკურენციის და მოხმარების ალაგს იჭერს სისტემა დაგეგმილი კოლექტიური ეკონომიის, რასაც ეწოდა, თუმცა არა სამართლიანათ, ომის სოციალიზმი» *). ომი შეწყდა, სამხედრო საჭიროებანი გაქრა, მაგრამ სამხედრო იდეოლოგია, სამხედრო წარმოდგენა ხელისუფლებაზე დარჩა და გაიკაფა გზა საზოგადოებაში. ეს მჭიდრო კავშირი თანამედროვე ეტატიზმის და მილიტარიზმს შორის აშკარათ მტკიცდება იტალია-გერმანია-რუსეთში, სადაც განვითარებული ეტატიზმი გადებმულია განვითარებულ მილიტარისტულ სულისკვეთებასან, ხმლის უმაღლეს მსაჯულათ აღიარებასან.

როგორ შეხვდა ამ ტალღას სოციალიზმი? ის თვით ჩადგა მის ფერხულში, დააწერა თავის დროშაზე და გახადა თავისი პოლიტიკური მუშაობის საგნათ. ყველა ქვეყნის სოციალისტები დაადგენ ეტატიზმის გზას და შეეცადენ მისი ასპარეზის გაფართოვებას: სოციალიზაცია და ნაციონალიზაცია სხვა და სხვა დარგის წარმოებათა გასახელმწიფოების ფორმით. ხელისუფლება გახდა პატრონი და გამნაწილებელი აუარებელი დაგროვილი სიმდიდრის, რომლითაც ხელის მოთბობა თვითეული მცხოვრებისათვის სანატრელათ გადაიქცა. პროფ. ჰერშის აღრიცხვით, ნაციონალური სიმდიდრის ერთი მეექვსედი გერმანიაში იმყოფება მართველობის ხელში. თერთმეტ გერმანელში ერთი ცხოვრობს ჯამაგირით; თუ ამას მიუმატებთ ომის პენსიონერთ და უმუშევართ, გამოვა, რომ ხუთ გერმანელზე ერთი ცხოვრობს მართველობის კასით. «ყველა ამას მივყევართ ძალაუნებურათ სახელმწიფო კაპიტალიზმამდე» **). ხალხი ითხოვს ხელისუფლებისაგან ჩააცვას, დაახუროს, გამოკვებოს, ასწავლოს, ჭირში და ლხინში უპატრონოს—ერთი სიტყვით იყოს მისი ძუძუსმწოვარი. და როცა ამას სახელმწიფო ვერ შვრება, ის ამას აბრალებს არა თვით პრინციპს, არა ეტატიზმს, არამედ გაბატონებულ პოლიტიკურ პარტიებს, არსებულ ხელისუფლებას, რომელსაც ის გარეთ ისვრის და მის ალაგას აჯენს ახალ მართველობას, იმავე პრინციპის, იმავე დაპირებების მატარებლათ. დემოკრატიამ შექმნა ერში ეტატიური ილიუზიები და მას აგრძელებენ ფაშისტები.

ამ მიმართულებას სოციალისტური დემოკრატია ასაბუთებდა ერთნაირათ. ჰილფერდინგმა ის ასე გამოსთქვა ვრცელ მოხსენებაში გერმანიის ს.-დემ. კონფერენციაზე:

«ორგანიზაციული კაპიტალიზმი ეწოდება შეცვლას კაპიტალისტური პრინციპის, თავისუფალი კონკურენციის, სოციალისტური პრინციპით გეგმიანი, საზოგადოებრივი მოწესრიგების. გეგმიანი ეკონომიკის წარმოება იძლევა უმაღლეს შესაძლებლობას შეგნებული გავლენისას ეკონომიკისა სახელმწიფოზე. პირისპირ დგება ერთი მხრით კაპიტალისტურათ დაგეგმილი მეურნეობა, მეორე მხრით სახელმწიფოს ორგანიზაცია. დღევანდელი დროის პრობლემაა როგორ მოხდება მათი ურთ-ერთში ათქვეფა. ჩვენი თაობის საგანია სახელმწიფოს ძალით მოწყობა კაპიტალისტური მეურნეობის მართვის, რომ ამ წესით მოწესრიგებული ეკონომიური ცხოვრება გადაიქცეს დემოკრატიული სახელმწიფოს მეურნეობათ» და სხ. *)

აზრი ნათელია, ეტატიზმი როგორც გეგმიანი ეკონომიკა ნიშნავს სოციალისტური პრინციპის განხორციელებას, ის სოციალიზმის დაწყებაა და მისი გამარჯვება არის ჩვენი დოქტრინის გამარჯვება. ეგევე აზრი საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანიზატორმა და ლიდერმა პოლ ფორმა გამოსთქვა შემდეგ ნაირათ:

«ფაქტების და აუცილებლობის ძალდატანებით მთავრობები შედგენ სახელმწიფო სოციალიზმის გზაზე, რასაც არ შეუძლია არ მოამზადოს ნამდვილი, მხნელი სოციალიზმი... ის რაც კეთდება სახელმწიფო სოციალიზმის გზაზე აქვს ერთი მნიშვნელობა—უნებური პატივისცემა მომაკვდავი საზოგადოებისა იმ ახალი ქვეყნისადმი, რასაც სოციალისტური პროლეტარიატი ამზადებს» **).

ეტატიზმი არის წინა კარები, გადამავალი საფეხური სოციალიზმისა—აი თანამედროვე სოციალიზმის აზროვნება. ამით აიხსნება საბჭოთა წყობილების, როგორც უაღრესათ დაგეგმილი მეურნეობის, მომხრეობა, მისი სოციალიზმის გზა და ხიდათ აღიარება. მას მიუმატეთ თავისუფლება და ჩვენ თურმე თავს ამოვყოფთ სოციალისტურ წყობილებაში.

თავისთავათ ცხადია, რომ სოციალისტურ პარ-

---

*) ეტა ფრანგულათ ნიშნავს სახელმწიფოს, ეტატიზმი სახელმწიფოს ეკონომიურ უაღრესობას.

*) Emile Labarthe. La Liberté creatrice 1932.

*) E. Vandervelde. Faut-il changer notre Programme. გვ. 117. 1923 წ.

**) იხ. La vie Socialiste. 23 აპრილი, 1927 წ.

*) Vorwaerts. 27 მაისი, 1927 წ.

**) «Populaire». 3 ივნარი, 1932 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაჭერის, თუ მათთან კოალიციაში ყოფნის პოლიტიკას აწარმოებდა. ამ მთავრობებმა ვერ შეუმსუბუქეს გერმანიის ხალხს გასაჭირი, ვერ უშოვეს უმუშევართ სამუშაო, მწვავე ეკონომიურ კრიზისს ვერ დასდეს სათანადო მალამო და პოლიტიკურათ შიგნით ვერ მოახდინეს შესაფერი სტაბილიზაცია. ყველაფერ ამას ზედ ერთოდა ვერსალის ზავის მიერ შექმნილი მრავალნაირი უსამართლობა. ამ მდგომარეობით მოხერხებულათ სარგებლობდენ ჰიტლერისტები და ხალხს ათასნაირ ფანტასტიურ დაპირებებს აძლევდენ. რესპუბლიკანურ რეჟიმზე ხალხს თანდათან გული უცრუვდებოდა. ასეთ პირობებში ის ადვილათ აყვა რასისტების შოვინისტურ დემაგოგიას და ეხლა ხსნას ჰიტლერის დიქტატურაში დაეძებს. ფაშიზმი დღეს გერმანიაში უთუოთ მასიური მოვლენაა. ამან გამოიწვია სოციალდემოკრატიის რიგებში რყევა და დემორალიზაცია. სოციალდემოკრატების ტაქტიკაც რეიხსტაგის უკანასკნელ სხდომაზე უთუოთ ამის შედეგია.

ჰიტლერი მშიერთ და უმუშევართ ჯერ-ჯერობით, როგორც ამას პირველ მაისს ქონდა ადგილი, მხოლოთ გრანდიოზული დემონსტრაციებით და მანიფესტაციებით უმასპინძლდება და ამ გზით ცდილობს ხალხის უკმაყოფილება უბრალო ზეიმით დააცხროს და მით მისი რისხვა თავიდან აიცილოს.

ამის მზგავს კომედიებს ხშირათ შეხვდებით სხვა ერთა ისტორიაშიც. რომის იმპერატორებს სპეციალური უქმე დღეები ქონდათ შემოღებული გაჭირვებული და მშიერი ხალხის გასართობათ და მისი დუხჭირი ცხოვრების მისავიწყებლათ. საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ხანებშიდაც ბურჟუაზია ამავე მიზნით აწყობდა და იგონებდა დიდ საჯარო და გასართობ უქმე დღეებს. ბოლშევიკები ხომ ასეთი დღეების მოწყობის ნამდვილი სპეცები არიან. ისინი მუდამ რაღაცას უქმობენ, მუდამ რაღაცას დღესასწაულობენ, ცდილობენ ყოველივე მათი დამარცხება და გაკოტრება ამ დღესასწაულების საშუალებით ხალხს მათ გამარჯვებათ და მიღწევათ დაუსახონ. ჰიტლერის და ბოლშევიზმის მეთოდები ერთი და იგივეა.

ჩვენ გვახსოვს, რომ ბოლშევიკურ დემაგოგიის მიერ გამოწვეულ პსიხოზის ტალღას აყვა რუსეთში მემარცხნე ესერები, ჩვენში—საქართველოში კი «ახალ გზელები». მათ აზრათ ქონდათ ბოლშევიკურ რეჟიმთან შეგუება და რაიმე ლეგალური მუშაობის შესაძლებლობის მოპოვება. ვიცით აგრეთვე, თუ რა ბედი ეწვია ამ ორ რენეგატულ მიმართულებას და რა მალე იქნენ ისინი ბოლშევიკების მიერ პატივაყრილნი. კარგი ბედი არ მოელის, უეჭველია, არც ჰიტლერის ნაციონალიზმის მიერ ჩათრეულ 50 გერმანელ დეპუტატს და მათ მიმდევართ, რომელნიც, შეიძლება, გულუბრყვილოთ ფიქრობენ, რომ ჰიტლერი მათ შეიგუებს და, როგორც სოციალდემოკრატებს, რაიმე დამოუკიდებელ და ლეგალურ მუშაობის საშუალებას მისცემს.

18 მაისის დადგენილებით სოციალისტურ ინტერნაციონალმა გერმანელ დეპუტატთა საქციელი არ გაიზიარა და აშკარათ დადგა იმათ მხარეზე, ვინც ჰიტლერის რეჟიმს ებრძვის და არ ურიგდება.

მაგრამ ამავე დროს, როგორ იქცევა კომინტერნი და მის უკან მდგომი საბჭოთა მთავრობა? რა პოზიცია უჭირავთ მათ ტრაღედიაში მყოფ გერმანიის მუშათა კლასის მიმართ?

დღეს გერმანიაში სოციალდემოკრატებთან ერთათ კომუნისტებიც დევნილია. მათი ორგანიზაციები დაშლილია, მათი ქონება ჰიტლერის მიერ ჩამორთმეულია. მათ იჭერენ, სცემენ, აწვალებენ, კლავენ. კომუნისტური პარტია დევნილია, როგორც სექცია მესამე ინტერნაციონალისა, რომლის ბატონ-პატრონი და ბრძანებელი მოსკოვია. კომუნისტებს ბრალს დებენ მოღალატეობაში—მათ გერმანიაში საბჭოთა რეჟიმის შემოღება უნდათო. და აი სწორეთ ასეთ დროს და ასეთ პირობებში მოსკოვი მეგობრობის პაქტს სდებს ჰიტლერთან.

მთელი ევროპა და ამერიკა ჰიტლერის რეჟიმით უკმაყოფილოა და მას ერთნაირ მორალურ ბლოკადას უხდენს. მოსკოვი კი ამ საერთო ანტიფაშისტურ ფრონტს არღვევს და ჰიტლერს მეგობრობის პაქტით ეკვრის. არავითარი თანაგრძნობა და გამოხმაურება გერმანელ კომუნისტებს მათი რუსი ამხანაგებისაგან. წინააღმდეგ, მოსკოვის ავანტიურისტები თავიანთ გერმანელ მეგობართ ზურგში დანას სცემენ. ინტერნაციონალისტობაც ასეთი უნდა.

ამ ორი ქვეყნის ავანტიურისტების წყალობაა უმთავრესათ ის, რომ დღეს გერმანიაში ასეთი მდგომარეობაა. აი რას ამბობდა საჯაროთ ამას წინეთ ერთი ცნობილი კომუნისტი: «საბჭოთა რეჟიმის გამარჯვებას გერმანიაში ხელს სოციალდემოკრატია უშლიდა. თუ ამ უკანასკნელის დამარცხება დღემდის გერმანელ კომუნისტებმა ვერ შესძლეს, ეხლა ეს როლი იკისრა ჰიტლერმა, რომლის შემდეგ უთუოთ ბოლშევიზმი მოვა; ჰიტლერი ჩვენთვის მუშაობს»ო.

როგორც ხედავთ, ჰიტლერი და ბოლშევიკები ერთმანეთს ეხმარებიან და ემსახურებიან.

და ყოველივე ამის შემდეგ განა მიზანშეწონილი იყო წარსულში, ან შესაძლებელია მომავალში რაიმე სერიოზული ლაპარაკი მეორე და მესამე ინტერნაციონალის შორის საერთო ფრონტის შესახებ? კომუნისტებს სოლიდარობა და ერთი ფრონტი თვით კომინტერნში ვერ გაუხორციელებიათ და სოციალისტებთან გამონახვენ ისინი რაიმე საერთო ენას? ეს ყოვლად შეუძლებელი, უიმედო და უაზრო ამბავია.

საერთო ფრონტის გამაგრება და გაძლიერება სოციალისტურ ინტერნაციონალმა თავის მხრივ პირველ ყოვლისა თავის რიგებში უნდა შეეცადოს. ეს კი შესაძლებელი იქნება მის მიერ მარცხნივ, თუ მარჯვნივ გადახრების თავიდან აცილებით, როგორც ბოლშევიზანობის, ისე ოპორტიუნიზმის უარისყოფით და გაბედულ და რადიკალურ რეფორმების და პოლიტიკის წარმოებით.

გერმანიის სოციალდემოკრატიის დამარცხებით უდიდესი ზიანი აქვს მიყენებული არა თუ სოციალისტურ ინტერნაციონალს და საერთაშორისო სოციალიზმს არამედ დიდ საშიშროებაშია დღეს ამის გამო საერთაშორისო ზავი და მშვიდობიანობა.

გერმანიის სოციალდემოკრატია ინტერნაციონალის ერთი უმთავრესი სექცია იყო. ეს პარტია თავის ორგანიზაციული სიძლიერით და კულტურის სიმაღლით საერთო ყურადღებას იპყრობდა და სრულიათ სამართლიანათ დემოკრატიული სოციალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლათ და მისი ახლო მომავალში განმახორციელებლათ ითვლებოდა.

თუ ამ უკანასხნელ 10-12 წლის განმავლობაში ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოთა შორის ერთნაირი წონასწორობა კი არსებობდა, ეს უმთავრესათ გერმანიის სოციალდემოკრატიის დამსახურება იყო. გერმანიაში ფაშიზმის გამარჯვების შემდეგ ეს წონასწორობა უკვე დარღვეულია და ევროპა დღეს დიდი გართულების წინაშე სდგას.

ამ გართულებების თავიდან აცილება დამოკიდებულია იქიდან, თუ რამდენათ ევროპის და ამერიკის დემოკრატია და ინტერნაციონალში შემავალი სოციალისტური სექციები თავიანთ ძალებს მობილიზაციას მოუხდენენ, თავიანთ პოზიციებს გაიმაგრებენ და ყველა ჯურის ავანტიურისტებს, ბოლშევიკებს, თუ ფაშისტებს, შესაფერ პასუხს გასცემენ.

კვირას, 18 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზე პერლაშეზის სასაფლაოზე მოხდება
სამოქალაქო პანაშვიდი

კ ა რ ლ ო ჩ ხ ე ი ძ ი ს

გარდაცვალების მეშვიდე წლის თავის აღსანიშნავათ.
თავის მოყრა—მეტრო Gambetta-ს წინ.

თვით გერმანიის სოციალდემოკრატიას კი ეხლავე და სასწრაფოთ მოუხდება თავისი რიგების გადაწყობა, მუშაობის ხასიათის შეცვლა და მისი მოქმედების უმთავრესათ არალეგალურ ასპარეზზე გადატანა, მთელი მისი ახლო წარსული საქმიანობის კრიტიკულათ შეფასება, ყველა მათი საბედისწერო შეცდომების აშკარათ აღიარება, ახალი ტაქტიკის და მეთოდების შემუშავება და მომავალი ბრძოლებისათვის ენერგიული მზადება.

ჯ. ჯვარჯალაძე.

◆

გეპეუს მუშაობა სომეხთა შორის

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ფარდა აეხადა ჩეკას მუშაობას პარიზის ქართველ ემიგრანტთა შორის და სააშკარაოზე გამოყვანილ იქნა თფილისის გეპეუს მიერ აქ მოვლინებული ვაღაც დემიდოვი, რომელიც ამავე დროს ბოლშევიკების საელჩოს მეორე მდივნათ ითვლება.

ეხლა აშკარავდება გეპეუს მუშაობა სომეხთა შორის. ამ შვიდი თვის წინეთ დაშნაკცუტუნის პარტიის ყრილობამ ზოგი «მძიმე დანაშაულის» გამო პარტიიდან გარიცხა ცენტრალური კომიტეტის შვიდი წევრიდან ხუთი.

პარტიიდან გარიცხვის რამოდენიმე დღის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის ყოფილ წევრებმა გამოუშვეს პარიზში გაზეთი «მარკოცი» და დაიწყეს მეტათ მწვავე ხასიათის კამათი დაშნაკცუტუნის პარტიის ცეკას ახალ შემადგენლობასთან. გაზეთ «მარტკოცის» სახსარის და მისი რედაქტორების შესახებ დიდი ეჭვები იყო, მაგრამ პროვოკაციის გახსნა არ ხერხდებოდა და ყველაფერი საიდუმლოთ რჩებოდა. დაბოლოს გეპეუს მუშაობას აქაც აეხადა ფარდა.

ხუთი თვის ერთათ მუშაობის და თანამშრომლობის შემდეგ პარტიიდან გარიცხულ ცეკას ხუთ წევრთა შორის ჩამოვარდა უთანხმოება და მოხდა განხეთქილება. ორივე მხარე სასტიკათ დაეტაკენ ერთიმეორეს და მათ შორის დაიწყო დაუნდობელი ბრძოლა. ამ ხუთ წევრიდან სამმა—მუშანიანმა, მოზიანმა და აბოიანმა მძიმე ბრალდება წაუყენეს ორ თავიანთ ამხანაგს—გუიუმჯიანს და ერიცანცს, რომელნიც დღეს გაზეთ «მარტკოცს» ხელმძღვანელობენ. ეს სამი პირი თავიანთ თანამოაზრეებისადმი დაგზავნილ საიდუმლო დოკუმენტში ააშკარავებენ წყაროს იმ თანხებისა, რომლითაც «მარტკოცი» იცემა. ჩვენ სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, სწერენ ისინი ამ საიდუმლო დოკუმენტში, რომ უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში გაზეთ «მარტკოცის» სალაროში დიდი თანხები შემოვიდა. ჩვენთვის შეუძლებელი გახდა ამ თანხების სრული რაოდენობის, ან დანიშნულების ცოდნა, მაგრამ ცხადია, რომ გაზეთი არ არსებობს თავის ნორმალურ შემოსავლითო. ერთი გარეშე წყაროდან შემოსულა 25.000 ფრანკი, მაგრამ გაზეთის ადმინისტრაციამ უარი სთქვა ეჩვენებია ჩვენთვის, თუ ვისგან არის ეს თანხა, ან რა მიზნით და დანიშნულებით არის ის მიღებულიო. საიდუმლო დოკუმენტის ავტორები ამტკიცებენ, რომ ბნელი წყაროდან მიღებული თანხა აღემატება იმ რაოდენობას, რომელიც ნაჩვენებია გაზეთის ანგარიშებში, და უდრის დაახლოვებით 100.000 ფრანკს. შემდეგ ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ გუიუმჯიანი და ერიცანცი მიუხედავათ პარტიიდან გარიცხულ ცენტრალურ კომიტეტის უმრავლესობის მრავალჯერ გაფრთხილებების და შენიშვნებისა, მუდმივათ ამახინჯებდენ გაზეთ «მარტკოცის» პოლიტიკურ სახეს და მიმართულებას და სომხურ წრეებში, თუ დაშნაკცუტუნის პარტიის რიგებში ქმნიდენ შთაბეჭდილებას მათ და საბჭოთა მოღვაწეთა შორის საეჭვო კავშირების არსებობისა.

როგორც ზემოთ მოთხრობილიდან სჩანს, ამ მათ შორის არსებულ კავშირს ქონდა არა მხოლოთ სულიერი, არამედ მატერიალური ხასიათიც.

◆

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა და პოლიტიკა

ავინიონის კონგრესი.

16 აპრილს ქალაქ ავინიონში გაიხსნა ფრანგ სოციალისტების არაჩვეულებრივი კონგრესი, რომელსაც უნდა განეხილა საპარლამენტო ფრაქციის ტაქტიკა და მისი დამოკიდებულება ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან.

ამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში ფრაქციის დიდი უმრავლესობა დაშორდა პარტიის და მისი უმაღლესი ინსტანციების ხაზს ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან თანამშრომლობის საკითხში.

ჯერ კიდევ, როცა პოლ ბონკურის მთავრობა დგებოდა, მაშინ დაიბადა ფრაქციაში დიდი ლტოლვა მთავრობაში მონაწილეობის მისაღებათ. შემდეგ, როცა დალადიე იქნა მოწვეული მთავრობის შესადგენათ, ფრაქციის უმრავლესობამ პარტიის სათანადო უმაღლეს ორგანოების დაუკითხავათ და ნებადაურთველათ გამართა მოლაპარაკება დალადიესთან. როგორც ვიცით, ეს მოლაპარაკება უშედეგოთ დამთავრდა და დალადიემ მთავრობა უსოციალისტებოთ შეადგინა. მაგრამ პარტიაში დიდი აღელვება და უკმაყოფილობა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ფრაქციის დიდ უმრავლესობამ (90 ხმით 10-ს წინააღმდეგ და 29-ს თავდაჭერით) მხარი დაუჭირა ბიუჯეტს და მის სხვა მუხლთა შორის სამხედრო სმეტას და საიდუმლო ფონდსაც.

ტიათა პროგრამები შეიცვალა თანახმათ ამ აზროვნებისა. წარმოებათა სხვადასხვა დარგის გასახელმწიფოება გადაიქცა პარტიათა მთავარ სოციალურ მოთხოვნილებათ (რკინის გზები, მთამადნები და სხ.). ამ სათავიდან ლოღიკურათ გამომდინარეობს სოციალისტების ბლოკი და კარტელები. თუ კი გასახელმწიფოება ჩვენი მთავარი მოთხოვნილებაა, აშკარაა ყველა ამ ნიადაგზე მდგომი პარტიების შეერთება და საერთო ძალ-ღონით საერთო მიზნის მიღწევა სავალდებულოა. და რომ ასეთი მიმდინარეობა არსებობს ბურჟუაზიულ დემოკრატიაში—ცნობილია. კიდევ მეტი, ეტატიზმის დროშა პირველათ სწორეთ მან ააფრიალა და მოუწოდა სოციალისტებს მასან და მის ბაირაღის ქვეშ დასადგომათ.

საფრანგეთის რადიკალიზმის მამა-მთავარნი კამილ პელეტანი, მორის სარო, ლეონ ბურჟუა და მათმა ამხანაგებმა თავიდანვე წამოაყენეს ეტატიური პროგრამმა და ის საჯაროთ გამოაცხადეს. ფერდინანდ ბუისონი თავის ცნობილ წიგნში ამ საგანზე სწვნის ასე: «პარტია რადიკალური და რადიკალ-სოციალისტური მოითხოვს სახელმწიფოს ხელში გადასვლას ფაქტიურათ არსებული მონოპოლიების, რომელსაც კი მოითხოვს საზოგადო ინტერესი, სახელდობრ: იმ მთავარი ნაციონალური მონოპოლიების, რომელნიც გადამჭრელ გავლენას ახდენენ წარმოებაზე, ქვეყნის სიმდიდრეზე და ომის დროს თავდაცვაზე, ხელი შეუშალოს ზოგ მრეწველ-მონოპოლისტებს თავის სურვილისამებრ დაადვან ფასი შრომას და საქონელს... კერძოთ ის ითხოვს გამოყიდვას რკინის გზების და დაზღვევის მონოპოლიის». ეს მოთხოვნილებანი კიდევაც იქნა შეტანილი პროგრამაში 1907 წ. ნანსის კონგრესზე.

საფრანგეთის სოციალიზმი უარყოფით შეხვდა ამ პროგრამას, გარდა მისი მემარჯვენე ფრთისა, მილიერანის მეთაურობით. ამან ცნობილ სენმანდეს სიტყვაში წამოაყენა სამი მუხლი თავისი პროგრამისა:

«ა. სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში იმ მიზნით, რომ თავის საბრძანებელში გადაიტანოს კაპიტალისტური სფეროდან სხვადასხვა კატეგორიის წარმოების და აღებ-მიცემობის საშუალებები, იმის მიხედვით თუ რამდენათ ისინი დამწიფდენ სოციალური დასაკუთრებისათვის; ბ. ძალაუფლების დაპყრობა საყოველთაო კენჭის ყრით; გ. მუშათა საერთაშორისო შეთანხმება».

რეფორმისტული სოციალიზმი დაიბადა; მისი მიზანია ეტატიზმი, საშუალება «დემოკრატიული მეთოდი» ანუ პარლამენტარიზმი.

მილიერანიზმს შეებრძოლა გედი და შემდეგ ჟორესიც. გედი ამტკიცებდა ეტატიზმის არა თუ სარგებლობას, არამედ დიდ მავნებლობასაც. ის სწერს: «რომელი მუშაა სახელმწიფოს მუშაზე ნაკლებათ თავისუფალი? სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია. სახელმწიფო—პატრონი—ეს არის მუშა ღრმაგათ დამონებული, ის დაბმულია მუცლით და კისრით». პარტიის რუანის კონგრესმა გაიზიარა ეს შეხედულობა და დაადგინა სახელმწიფოს ჩამოერთვას საწარმოვო დაწესებულებები და გადაეცეს ის მათში მომუშავეთა ასოციაციას. მარქსისტები ეტატიზმს უპირდაპირებდენ შემდეგ დებულებათ:

«პირველათ რევოლიუცია, ე. ი. კაპიტალისტთა კლასის პოლიტიკური და ეკონომიური ექსპროპრიაცია, ხოლო შემდეგ აწყობა საზოგადო ეკონომიკის, ვინაიდან მხოლოდ შემდეგ ყველა კლასების გათქვეფისა ერთ მწარმოებელთა კლასში შესაძლებელი გახდება მართლა საზოგადო მეურნეობის დაფუძნება» *).

დაახლოვებით ასეთივე აზრისაა ჟორესი. ის სწერს:

«სოციალიზმს უსაყვედურებენ ვითომ მისი მიზანი იყოს დღევანდელი ბიუროკრატიზმის განვითარება, დღევანდელი სახელმწიფოს, დეპარტამენტის და კომუნის პატრონობის გავრცელება მთელ წარმოებაზე. და ჩვენ გვეკითხებიან: რა სარგებლობა მიეცემა აქედან მშრომელთ? განა სახელმწიფოს თუ მუნიციპალიტეტის მუშა უფრო ბედნიერია ვინემ კერძო მრეწველობის?.. რასაკვირველია, მუშები სახელმწიფოსი, დეპარტამენტის, მუნიციპალიტეტის თუ კერძო პირების ერთი და იგივეა; პატრონს ეწოდება სახელმწიფო თუ შნაიდერი ეს იგივე დამოკიდებულება და სილატაკეა; და რომ სოციალისტური ორგანიზაცია ნიშნავდეს არსებული სახელმწიფოს პატრონობის გაფართოვებას, ისეთ საზოგადო წარმოებას, როგორიც დღეს არის, ეს იქნებოდა ერთი საშინელი დატყუილება... სახელმწიფო, როგორც პატრონი, სანამ არსებული სოციალური წყობილება არ შეცვლილა, არის ყმა საერთო ეკონომიური პირობებისა. საფრანგეთის სახელმწიფო კიდევაც რომ გახდეს პატრონი რკინის გზების, როგორც ეს გერმანიაშია, ან და მთამადნების როგორც ნაწილობრივ იმავე გერმანიაში და რუსეთშია, ამით მუშის მდგომარეობა არ შეიცვლება» **).

როგორც ხედავთ, გედი და ჟორესი ამბობენ ერთ დაიმავეს: ჯერ რევოლიუცია ანუ სოციალური წყობილების შეცვლა და შემდეგ საზოგადო ეკონომიკის აწყობა. ამით ორივენი ერთნაირათ ეთიშებიან რადიკალების და რეფორმისტების პროგრამას.

საფრანგეთის სოციალიზმის ასეთი პოზიცია სავსებით ეთანხმება მარქსისტულ მსოფლმხედველობას და პირდაპირ გამომდინარეობს კომუნისტური მანიფესტიდან, სადაც სახელმწიფოს ხელში სიმდიდრის გადასვლის წინასწარ პირობათ წამოყენებულია მუშათა რევოლიუცია, «გადაქცევა პროლეტარიატის მართველ კლასათ».

ამნაირათ, თანამედროვე სოციალიზმი ძირითად პრობლემაში, სოციალიზმის გზის და გამარჯვების გამონახვაში, სავსებით ეთიშება ძველ კლასიკურ სოციალიზმს და იზიარებს რადიკალების და რეფორმისტების მიმდინარეობას. ამ საერთო ნიადაგზე დგანან მისი ყველა ჯგუფი და ფრთა, რომელთა შორის იწყება განსხვავება შემდეგ, ამ საფუძვლის ამუშავების და გატარების პოლიტიკაში. ეტატიური რეფორმიზმი სოციალიზმის დამახასიათებელია, მისი სული და გულია. და ეს არა მარტო საფრანგეთში, არამედ ყოველგან, გერმანიაში, ინგლისში, სკანდინავიაში, ავსტრიაში, მთელ საერთაშორისო მასშტაბში.

აი ეს ძირითადი შეტრიალება სოციალიზმის, თავისი ძველი პოზიციის დატოვება და ეტატიზმში შეტოპვა მოხდა ორი დიდი სინამდვილის გავლენით: «სამხედრო სოციალიზმი»ს და მისგან წარმოშობილი რუსეთის კომუნისტური წყობილების. ამ ორივე მაგალითმა დაამტკიცა შესაძლებლობა გეგმიანი ეკონომიკის და რადგანაც ეს ეკონომიკა გამოცხადდა სოციალიზმის დამახასიათებელ თვისებათ, მაშასადამე შესაძლებლობა სოციალიზმის ეტატიზმის საშუალებით განხორციელების. აქ ისმება ძირითადი საკითხი: სოციალიზმის დამახასიათებელი თვისება მართლა გეგმიანი ეკონომიკაა, გაწესრიგებული მეურნეობაა? საკმარისია თვალი გადაავლოთ ისტორიას, რომ საკითხს უარყოფითათ უპასუხოთ. ჩვენ ვიცით მრავალი გეგმიანი ეკონომიური საქმიანობა, სადაც სოციალიზმის ნატამალიც კი არ ყოფილა. სახელმწიფო როგორც ეკონომიური ურთიერთობის ამწყობი, სიმდიდრის შექმნის მეთაური და გამნაწილებელი ძველი ამბავია; ეგვიპტე, მესოპოტამია, ინდოეთი, ჩინეთი, ყველა აზიური დესპოტია ამ გზაზე ილვწოდა მეტნაკლები ზომით და წონით. ევროპას არასოდეს ამ სფეროში არა უთქვამს რა ისეთი, რაც წინეთ არ ყოფილიყოს ნათქვამი და ნამოქმედარი აზიაში. მაგრამ ვინაიდან მოსკოვის კომუნიზმი ახალ სახარებათ არის მიჩნეული, უმაგალითო მოვლენათა აღიარებული, გეგმიანი ეკონომიკის უმაღლეს მიღწევათაა გამოცხადებული, ამიტომ ჩვენ აქ შევჩერდებით ერთ ძველ ასეთივე გეგმიან მეურნეობაზე, რომლის პირწმინდა განმეორებაა მოსკოვის კომუნიზმი.

მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში ჩინეთში იფეთქა დიდი სოციალური კონფლიქტი და კლასთა ბრძოლა მივიდა უმაღლეს ხარისხამდე. «მთელი ერი, ამბობს ისტორიკოსი, გაიყო ორ მოპირდაპირე ბანაკათ. წიგნაკები, პამფლეტები, განცხადებები უხვათ გამოდიოდა ყოველ დღე და ყოველი მიმართულების. რეფორმატორთა მეთაურათ გამოდიოდა შესანიშნავი ნიჭის პატრონი, ვანგნგაშე, კაცი მეტათ განათლებული, მწერალი, მეცნიერების დოქტორი, რომელსაც ყველა საშუალება მისაღებათ მიაჩნდა მიზნის მისაღწევათ». მან შეიმუშავა რეფორმათა პროექტი და მის ნიადაგზე გაწია ფართე აგიტაცია. აი რას სწერდა ის:

«მთავრობის უპირველესი და უსაჭიროესი მოვალეობაა უყვარდეს ხალხი ისე, რომ მას მისცეს ცხოვრების რეალური სარგებლობა, რაც იხატება ნივთიერ კეთილდღეობაში და სიხარულში. ამ დიდი მიზნის მისაღწევათ საკმარისია ჩააგონო ყველას უცვლელი წესები პატიოსნების. მაგრამ ვინაიდან ამ წესების ზედმიწევნით შესრულება ყველას მიერ ნებაყოფლობით შეუძლებელია, აუცილებელია სახელმწიფომ დაადგინოს ბრძნული და ურყევი კანონები მათი გატარებისა. ამ კანონების თანახმათ, იმ მიზნით რომ არ დაანებონ ერთ ადამიანს მეორის გაყვლეფა, სახელმწიფო ეპატრონება ქვეყნის ყველა სიმდიდრეს და ხდება მისი ერთათ-ერთი გამგებელი. ის არის ვაჭარი, მრეწველი, მეურნე, ღარიბთა საკეთილდღეოთ და მდიდართა შესაბოჭავათ. ამ საქმისათვის წესდება ყოველგან ახალი ტრიბუნალები, რომელთა საგანი იქნება დააწესოს ფასები ხორბალზე და გასაყიდ საქონელზე. ისინი შეაწერენ მდიდრებს რამდენიმე წლის განმავლობაში განსაკუთრებით გადასახადებს, ხოლო ვინ მდიდარია და ვინ ღარიბი არჩევენ თვითონ ეს ტრიბუნალები. ამ გადასახადებისაგან შემოსული თანხები გროვდება ხაზინაში და ურიგდება უმწეო მოხუცთ, ღარიბებს, უსაქმოთ დარჩენილ მუშებს, ყველა იმათ ვინც გაჭირვებაში ჩავარდება. მთელი მიწა ეკუთვნის სახელმწიფოს, რასაც ყოველწლივ ტრიბუნალები უნაწილებენ მიწის მუშათ სამუშაოთ, აძლევენ მათ თესლს იმ პირობით, მას იხდიან ფულით ან მოსავლით; ამასთანავე იგივე ტრიბუნალები სწყვეტენ რომელი მიწა რა ჯიშის თესლით დაითესოს».

ამ პროექტის წინააღმდეგ ამხედრდა მემამულეთა კლასი, მანდარინები, ხოლო ინტელიგენცია და ხალხი მას მიემხრო. მეფე ბოლოს და ბოლოს გადაიხარა პროექტის სასარგებლოთ, დაითხოვა მოწინააღმდეგე მინისტრები და პრემიერათ მიიწვია რეფო-

---

*) იხ. დაწვრილებით გედის Le Socialisme et les Services publics და სხვა მისი ნაწერები.

**) გადმობეჭდილია La Vie Socialiste-ში, 4 და 11 მარტი, 1933 წ.

ფრაქციის უმრავლესობა რენოდელის პირით თავის მოქმედებას იმით ხსნიდა და ასაბუთებდა, რომ დღეს საერთაშორისო მდგომარეობა მეტათ გართულებულია, ცენტრალურ ევროპაში რეაქცია მკვიდრდება და მაგრდება, ჰიტლერის გერმანია სარევანშოთ ემზადება, ყველგან უკიდურესი ეკონომიური კრიზისი არსებობს და ყველაფერ ამას ადვილათ შეუძლია გავლენა იქონიოს თვით საფრანგეთში და აქაც რეაქციის ტალღები აგორდესო. ასეთი რამე რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა მემარცხენე პარტიების უმრავლესობა, რომელიც მოგვცა უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებმა არ იქნას დანგრეული და მათ შორის პარლამენტში თანამშრომლობა დარღვეული. ამიტომ, მთავრობაში თუ ვერ შევდივართ, მხარი მას მაინც უნდა დავუჭიროთო.

ფრაქციის უმცირესობა ბლიუმის, ვენსან ორიოლის, ლიობას და პოლფორის ხელმძღვანელობით მდგომარეობას სხვანაირათ აფასებდენ. ყველა ესენი რენოდელს და მის ჯგუფს ეთანხმებიან იმაში, რომ ევროპაში დღეს საერთოთ მეტათ რთული და მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ არ იზიარებენ მათ აზრს, ვითომც საფრანგეთი ეხლა ფაშიზმის და რეაქციის საშიშროების წინაშე იდგეს. დალადიეს მთავრობის გადადგომას, ფიქრობენ ისინი, მოყვებოდა არა რეაქციონური მთავრობის შედგენა საფრანგეთში, არამედ მემარცხენე რადიკალ-სოციალისტ დალადიეს უფრო ზომიერი—ჰერიო, შოტანი, ან სხვა ვინმეთი შეცვლა მთავრობაში. თუ საფრანგეთში შესაძლებელია დაიწყოს ფაშისტური მოძრაობა, ეს უკანასკნელი იქნება შედეგი არა სხვა ქვეყნებში გამარჯვებულ რეაქციისა, არამედ საფრანგეთის ხალხის დემოკრატიული რეჟიმით იმედების გაცრუებისაო. ამიტომ, ამბობდა კონგრესზე ორიოლი, სოციალისტურ პარტიამ უნდა აწარმოოს არა ისეთი ტაქტიკა, რომელიც ჩვენ არ გაგვანსხვავებდა რადიკალ-სოციალისტებიდან, არამედ უნდა დავადგეთ რადიკალურ რეფორმების გზას და პოლიტიკას. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ გერმანიის ამბები. გერმანელი სოციალდემოკრატები აწარმოებდენ შეგუების, «ნაკლები ბოროტების» პოლიტიკას, ითმენდენ და მხარს უჭერდენ ბრიუნინგის, თუ სხვა მთავრობებს. ამის შედეგი ჩვენ ვიცით. ამ შეცდომებს ჩვენ ველარ გავიმეორებთ. ჩვენ გვაქვს ჩვენი პროგრამა და ყოველივე ჩვენ მოქმედებაში მით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ამასთანავე პარტიის უმაღლესი ინსტანციების დადგენილებები სავალდებულო უნდა იყოს, როგორც მთელი პარტიის, ისე მისი საპარლამენტო ფრაქციისათვისაცო.

საპარლამენტო ფრაქციის უმცირესობის ხაზმა—ბლიუმის რეზოლიუციამ 2.807 ხმა მიიღო, ფრაქციის უმრავლესობის—რენოდელის რეზოლიუციამ კი მხოლოთ 925.

გერმანელ პროფეს. კავშირების დანგრევა.

დილით ორ მაისს ჰიტლერის დამკვრელ რაზმებმა მთელ გერამნიაში რამოდენიმე საათის განმავლობაში დაიკავეს გერმანელ პროფესიონალურ კავშირების ყველა ბიუროები, გადააყენეს ამ ბიუროების თავმჯდომარენი და დანიშნეს თავიანთი დროებითი წარმომადგენლები. დაატყვევეს ბიუროების მრავალი ყოფილი თავმჯდომარეები, მათ შორის ფედერაციის პრეზიდენტი ლეიპარტი და რეიხსტაგის დეპუტატი გრასმანი და ვისელი.

პროფესიონალურ კავშირების ბინების დაკავებასთან ერთად კონფისკაცია უყვეს ბანკებში ყველა იმ თანხებს, რომელიც ირიცხებოდა კავშირების ხელმძღვანელთა სახელზე.

დანიშნულია სპეციალური სახელმწიფო კომისარი ენგელი, რომელსაც ემორჩილება ბერლინის ყველა პროფესიონალური კავშირები. «გერმანელი შრომის დაცვის კომიტეტის» სათავეში ჩააყენეს ლეი, რომელიც ხელმძღვანელობს კავშირების განადგურების საქმეს და პირდაპირ პასუხისმგებელია ჰიტლერის წინაშე.

1932 წლის პირველ ოქტომბრისათვის პროფესიონალურ კავშირების ფედერაციაში ითვლებოდა 3.603.000 წევრი. 1931 წელს, ამ კრიზისის ხანაში, კავშირთა ბიუჯეტი უდრიდა—შემოსავალი 184.000.000 მარკა, გასავალი კი 215 მილიონი მარკა.

ერთი დილის განმავლობაში ჰიტლერის მთავრობამ დაანგრია გერმანიის მუშათა კლასის პროფესიონალური მოძრაობა. ამ მოძრაობის ხელმძღვანელებმა კი ყოველნაირი ზომები მიიღეს, რომ კავშირები განადგურებისაგან გადაერჩინათ: მათ მიიღეს ჰიტლერის ნაციონალური პროგრამა და გავიდენ სინდიკატების ინტერნაციონალურ ფედერაციიდან; მათ მარქსისტობაში ეჭვი ვინმეს რომ არ შეეტანა, კავშირებმა თავიანთ თავი ნეიტრალურ ორგანიზაციებათ გამოაცხადეს და ყოველგვარი კავშირი სოციალდემოკრატიულ პარტიასთან გასწყვიტეს; მათ თანხმობა განაცხადეს აგრეთვე ეთანამშრომლათ მრეწველთა სინდიკატებთან.

მაგრამ, როგორც საერთოთ ხდება, უზომო თავდამცირებამ პროფესიონალური კავშირები ვერ იხსნა და ისინი ასე ადვილათ და სწრაფათ განადგურებულ იქნა.

პარტიიდან

მიმართვა პარტიულ ამხანაგებს

ძვირფასო ამხანაგებო,

მოგეხსენებათ, რომ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი პარტიის საზღვარგარეთელ რიგებში თავი იჩინა უთანხმოებამ. ამ უკანასკნელის მთავარ საგანს შეადგენდა ის სისტემა, რომელზედაც აგებული იყო ჩვენი პარტიული მუშაობა უცხოეთში. ამ სისტემის სხვადასხვა ნაირად დაფასებამ და მის ირგვლივ ატეხილმა შინაპარტიულმა დავამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ფსიქოლოგიურათ დააცილა ერთმანეთს ამხანაგები და ნიადაგი მოუმზადა უცხოეთში მყოფ მთლიან პარტიულ ორგანიზაციების დაშლას და ჯგუფებათ დაქუცმაცებას.

საქ. სოც.-დემ. პარტია ჩვენი ქვეყნის უძლიერესი პოლიტიკური პარტიაა: მის ორგანიზაციულ სიმტკიცეზე და ერთსულოვან საქმიანობაზე დიდათ არის დამოკიდებული ჩვენი ხალხის ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლის წარმატებითი მსვლელობა.

ეს გარემოება და დღევანდელი სრულიად არაჩვეულებრივი საერთაშორისო მდგომარეობა, რომელმაც განსაკუთრებულ საფრთხეში ჩააგდო საერთაშორისო მუშათა მოძრაობა საყოველთაოთ და რამაც უეჭველია გაართულა ბრძოლა ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის, გვიკარნახებს და გვავალებს თვითეულ ჩვენთაგანს, როგორც დაპყრობილ ერის შვილს და სოციალისტს უდიდესი ყურადღებით მოვეპყრათ ჩვენ პარტიულ მთლიანობას, რათა აქ—საზღვარ გარეთ—ჩვენს რიგებში არევდარევის გამოწვევით ხელი არ შევუშალოთ იმ გმირულ ბრძოლას, რომელსაც ქართველი ერი ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით მთლიანათ აწარმოებს დამპყრობელ მტარვალთა წინაალმდეგ.

აქედან გამომდინარეობს ჩვენი გარდაუვალი მოვალეობა გამოვნახოთ საერთო ენა, აღვადგინოთ აქაც ისეთი ორგანიზაციული ერთსულოვანება, როგორიც სამშობლოშია, შევქნათ ჩვენს რიგებში ამხანაგური ურთიერთობა და წარვმართოთ ჩვენი საქმიანობა სრულ კოლეგიალობის ნიადაგზე.

ამის შესაძლებლობას გვაძლევს ბიუროს ის ახალი ორგანიზაციული წესები, რომლითაც იწურება წინანდელი ჩვენი ორგანიზაციული დავა, და რომლის ასლი ეგზავნება ამასთანავე ყველა საზღვარ გარეთელ ორგანიზაციებს.

ამ წესების თანახმათ შევსებული ბიურო მოუწოდებს უცხოეთში მყოფ ყველა ამხანაგებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ უცხოეთში პარტიულ ორგანიზაციების მთლიანობის აღდგენის საქმეში, დაირაზმონ ჩვენი პარტიის და მისი ცენტრალურ კომიტეტის ირგვლივ, შემოკრბენ საზღვარგარეთელ ბიუროს გარშემო და ხელი შეუწყონ მისი ახალი წყობის სრულ და სწრაფ განხორციელებას.

ამხანაგური სალამით

საქ. ს.-დ. პარტიის საზ.-გარეთელი ბიურო.

დაღუპულ მეგობრების ხსოვნას

(ამხ. დ. გობრონიძის და გ. მსხალაძის გარდაცვალების გამო)

ბოლშევიკური ტირანიის გაუმაძღარი მადა მსხვერპლს მსხვერპლზე ითხოვს. უკანასკნელი ცნობით გარდაცვალებულან ორი შეუდარებელი მებრძოლნი ამხ. დ. გობრონიძე და გ. მსხალაძე. მათი ტრაღიკული ბედი ქართველი ახალგაზდობის ბედის განსახიერებაა.

ამხ. დიმიტრი გობრონიძე დაიბადა 1901 წელს, სოფ. ხვარბეთში, გურიაში. ღარიბი გლეხის, ძველი სოც. დემოკრატის შვილი, ის ჭაპანწყვეტაში ამთავრებს საშუალო სასწავლებელს ქ. ოზურგეთში. თავის ტოლ-ამხანაგებში მუდამ პირველთაგანი იყო. ახ. მარქ. ორ. წევრი 1917 წ-ან ის თავისი ნიჭით, ცოდნით და ბრძოლის უნარით მუდამ ამხანაგების ნდობით სარგებლობდა და გურიის ორგანიზაციის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო. 1922 წ. თებერვალში მოწაფეთა დემონსტრაციის სამი დღით წინ მას ხუთ ამხანაგთან ერთად ატუსაღებენ გიმნაზიის მიერ გამართულ ტრადიციულ საღამოზე და მხოლოდ 4 თვის მეტეხში ტყვეობის შემდეგ პოულობს ის თავისუფლებას. ამას ოდნავადაც არ შეუნელებია ამხ. დიმიტრის ბრძოლის წყურვილი. ის გიმნაზიელთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც დირექტორმა ლომინაძის ქალმა ჩეკაში დააბეზღა, როგორც გავლენიანი და გაუსწორებელი მენშევიკები.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ამხ. დიმიტრი თფილისის უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის ისტორიულ დარგის სტუდენტად ჩაირიცხა. აქაც მან მალე საყოველთაო ნდობა დაიმსახურა და ჩვენი ორგანიზაციების უნივერსიტეტის კომიტეტის წევრად და მეორე რაიონის ერთ-ერთ სამაცდინო ჯგუფის ხელმძღვანელად ითვლებოდა. თფილისში ყოფნა მას დიდხანს არ დასცალდა და სამსახურის საშოვნელად იძულებული შეიქნა დუშეთში გადასახლებულიყო. 1924 წლის აჯანყებამ მას ციხეში მოუსწრო. აჯანყებულებმა ის სხვებთან ერთად გაანთავისუფლეს, მაგრამ ამხ. დიმიტრი წინასწარ გრძნობდა რა აჯანყების დამარცხებას, ციხეში დარჩენა ამჯობინა, მიუხედავათ იმისა, რომ დახვრეტა მოელოდა მას. ამ «სტრატეგიამ» დიმიტრი დახვრეტისაგან იხსნა, მაგრამ ჩეკამ იცოდა რა მისი წონა და გავლენა ჩვენს ახალგაზდობაში, ძალით საგაზეთო წერილი დააწერია, სადაც ამხანაგი დიმიტრი აჯანყების მეტად სანტიმენტალურ შეფასებას იძლეოდა. ეს წერილი დაიბეჭდა გაზ. «მუშა»-ში. ამის შემდეგ ის ორგანიზაციის გარეშე დადგა ფორმალურად, მაგრამ მისი სული ისე მჭიდროთ იყო გადაბმული ჩვენს მოძრაობასან, რომ ის პასიურობას ვერ ითმენდა. მებრძოლი კვლავ ჩვენს რიგებს დაუბრუნდა და გაორკეცებული ენერგიითა და სიფრთხილით ორგანიზაციების გამრთელებას ემსახურებოდა...

დიმიტრი ტუსაღობაში გარდაიცვალა... მოწინავე რაზმელი მოწინავე ფრონტზე დაეცა. თავის ხანმოკლე სიცოცხლე ქართველ ხალხს მიუტანა მსხვერპლად და თავგანწირვის მაგალითი დაგვიტოვა.

—

თავდადების უმწიკვლო ნიმუშია აგრეთვე ამხ. გ. მსხალაძე. შეუდარებელი ნებისყოფის და ენერგიის, უანგარო და უპრეტენზიო ამხ. გიორგი გურიის ახალგაზდობის ერთი სულის ჩამდგმელი იყო. ის დაიბადა 1903 წ. სოფ. მაკვანეთში. მამა მისი, ძველი სოც. დემოკრატი, გლეხთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც ამერიკაში გაემგზავრა ჯირითობის საშუალებით არსებობის გასაადვილებლათ. დაბრუნების შემდეგ ის დაუბრუნდა სოციალდემოკრატიულ პარტიას და მეფის აგენტების შავ სიაში მოექცა. თავისი ქალის გათხოვების დღეს მას თავს დაესხენ სტრაჟნიკები და თავზარდაცემულ მექორწილეთა თვალწინ მკერდი ვერაგულად გაუხვრიტეს ტყვიით. ამ აღმაშფოთებელმა ბოროტებამ გამოხმაურება ჰპოვა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, რომლის ტრიბუნიდან ამხ. ევგ. გეგეჭკორმა თავისი ენერგიული ინტერპელაციით, ეს ამაღელვებული აქტი რუსეთის საზოგადოებრივ აზრს ამცნო და დამნაშავეთა წინაალმდეგ სათანადო სანქცია მოითხოვა. მებრძოლი მამის თვისებები ამხ. გიორგის უკლებლად გადაეცა; მას იგივე ტრაღიკული ბედი მოელოდა. 1918 წლიდან ჩაება ის ახ. მარქ. ორგანიზაციაში. საქართველოს დაპყრობის შემდეგ გურიის ორგანიზაციების ერთ-ერთ ცენტრში მუშაობდა, რისთვისაც [illegible] სალეს 1923 წლის დასაწყისში. აუწერელ[illegible] რაც გიორგიმ ჩეკას სარდაფებში გადაიტანა. ცემა-ტყეპა, სანამ ჩეკის სადისტები დაიღლებოდენ, გაყინულ, წყლით სავსე სარდაფში შიშველი გდება, გაშიშვლებული ტანის პაპიროსის ცეცხლით დაწვა და სხვა ჯოჯოხეთური ზომები უძლური გახდენ მისი გამოტეხის საქმეში. ჩეკას წამების ლაბორატორიაშიც ვერ მოიგონეს მისი გამოტეხის საშუალება და ერთი სიტყვაც ვერ ამოსტყუვეს. შვიდი თვის ტუსაღობის შემდეგ გიორგის ნაწამებ ტანს პაპიროსით დამწვარი წერტილები კვლავ ეტყობოდა, მაგრამ მის სახეზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ქინი კიანთობდა. ის კვლავ ორგანიზაციას დაუბრუნდა და ამ ხელჩართულ შეტაკებაში ხელისუფლებასან ხელი აიღო თავის უმთავრეს მიზანზე, სწავლაზე. მას საშუალო სასწავლებლის დამთავრებაც არ დააცალეს. 1925 წლის გაზაფხულზე კვლავ ატუსაღებენ გიორგის. აქედან ის მოტყუებით თავს აღწევს და არალეგალურ მდგომარეობაში გადადის. ის მაშინვე შეუდგა ჩვენი ახალგაზდობის ხელმძღვანელობას და ითვლებოდა გურიის კომიტეტის წევრად და ოზურგეთის რაიონის კომიტეტის თავმჯდომარეთ. ასე გაატარა სამი წელი ფიზიკურად სუსტი აგებულების ახალგაზდამ. მისი ჯანმრთელობა თანდათან ნადგურდებოდა და 1928 წელს ის იძულებული შეიქნა ხელისუფლებას შერიგებოდა. მოტყუებული გიორგი მალე ციხეში მოექცა რამაც დაამთავრა მისი ჯანის განადგურება. მან წამებაში დალია სული...

უკანასკნელად გეთხოვებით ძვირფასო მეგობრებო დიმიტრი და გიორგი! ბედნიერი ხართ, რომ თქვენ ხსოვნას არავითარი შავი წერტილი არ დაჩრდილავს. თქვენი სავანე ჩვენს, დარჩენილთა, გულშია გაშენებული...

ვ. ინწკირველი.

წერილი ჩეხოსლოვაკიიდან

სოციალდემოკრატიული პარტიის ცენტრალურ ორგანო «პრავო ლიდუ»-ს 9 მაისის ნომერში მოთავსებული იყო მეთაური «ჩვენი დამოკიდებულება ერთიან ფრონტთან». წერილი, რომელსაც ხელს აწერს ქართველი სოციალდემოკრატი, იწყება ასე:

ქართველი სოციალდემოკრატია გაცხოველებული ყურადღებით ადევნებს თვალ-ყურს საკითხს ერთიანი ფრონტის და მასთან დაკავშირებით ორივე ინტერნაციონალს შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ. ჩვენი პარტია, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა მიმდინარეობს არალეგალურათ ბოლშევიკების ჯოჯოხეთური რეჟიმის პირობებში, მით უფრო მოწოდებულათ სთვლის თავის თავს სთქვას ამ საქმეების შესახებ თავისი სიტყვა. საქართველოს სოციალდემოკრატია ერთიანი ფრონტის შესახებ არის შემდეგი აზრის: აქ უკვე მოყვანილია თითქმის სრული თარგმანი სოციალისტურ ინტერნაციონალის ეკზეკუტივში წარდგენილი მემორანდუმის პარტიის წარმომადგენლის მიერ. თავდება ხსენებული მოწინავე წერილი ასე: აი ეს არის ჩვენი პარტიის თვალსაზრისი და ეს ამხ. გვარჯალაძემ ოფიციალურათ ამცნო კიდევაც სოციალისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ ორგანოს და საერთოთ ვუყენებთ მას გასარჩევათ მთელ სოციალისტურ მუშათა კლასს. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი თვალთსაზრისი გამართლებული იქნება ცხოვრების მიერ და ის გახდება ინტერნაციონალის შეხედულებათაც.

ხსენებულ წერილს მეორე დღესვე გამოეხმაურა კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო «რუდე პრავო». შეუკურთხა რა შეფ-რედაქტორს «პრავო ლიდუ»-ს, სოციალდემოკრატიულ პარტიის მეთაურებს, მეორე ინტერნაციონალს, საქართველოს სოციალდემოკრატიას, ერთი სიმართლე მაინც წამოცდა მოსკოვის ფინიას.—ჩეხიის სოციალდემოკრატიამ დაიხმარია ქართველი სოციალდემოკრატი და უნდა ვთქვათ. რომ უკანასკნელმა სწორეთ სთქვა, გარკვევით და ამკარათ, რასაც ვერ ამბობს საერთოთ მეორე ინტერნაციონალი. ერთი ფრონტი ავნებს მეორე ინტერნაციონალს და მის ორგანიზაციებსო. თქმა არ უნდა ერთი ფრონტი, როგორც ეს ჩვენ, კომუნისტებს, გვესმის მოიტანს ასეთ შედეგებსო.

მე.

ფრანგულ-კავკასიური სტამბა

30 მაის გაიხსნა ახალი სტამბა, «ფრანგულ-კავკასიური», დ. ხელაძის მეთაურობით. გახსნას დაესწრენ ქართველები, სომხები, აზერბეიჯანელები, მთიელნი და უკრაინელები. წარმოითქვა მრავალი სიტყვა ამ პირველი საერთო კავკასიური კულტურული ბუდის საკეთილდღეოთ და წასამარტებლათ. სტამბა მოთავსებულია ფართო შენობაში, აქვს რამდენიმე ოთახი, შემკულია ყველა თანამედროვე სასტამბო მანქანებით და იმყოფება პარიზის ცენტრში (rue Fobourg du Temple, 50). ვუსურვებთ დ. ხელაძეს გამარჯვებას ამ ახალ კულტურულ ფრონტზე.

შეცდომის გასწორება.

ქ. გ.-ის წერილი «პოლიტიკური მდგომარეობა», «ბრძოლის ხმა» № 33, გვერდი მე-2, ქვემოდან მეათე სტრიქონი, დაბეჭდილია—«ან და ბონაპარტიზმი რუსეთში შერბილებულია»... უნდა იყოს: ან და ბონაპარტიზმი რუსეთში შესაძლებელია...

რმის მეთაური ვანგნგაშე. ახალმა მთავრობამ პირველ ყოვლისა დასცვალა მთელი ადმინისტრაცია, ყველა თანამდებობაზე ჩააყენა თავისი პარტიის კაცები, შეაყენა ახალი ტრიბუნალები და შემდეგ შეუდგა დეკრეტებით სახელმწიფო კომუნიზმის განხორციელებას. მანდარინები აჯანყდენ, მაგრამ დამარცხდენ. რეფორმა გატარდა მთელი სისასტიკით, მოწინაალმდეგენი გაიქცენ მანჯურიაში. რეფორმის მომხრე ინტელიგენცია თანდათან იცვლის აზრს და იწყებს მის კრიტიკას. მთავრობა აუქმებს მწერალთა ასოციაციებს, კრძალავს თავისუფალ მწერლობას და აზროვნებას და მყარდება პოლიტიკური დესპოტია.

«ვანგაშენმა შესძლო, სწერს ელიზე რეკლიუ, ეს სახელმწიფო კომუნიზმი შეენახა 15 წელიწადს». მაგრამ ჩქარა გამოირკვა რომ «ეს რეჟიმი აღარ შეესაბამებოდა არც შეძლებულთა, არც ხალხის ინტერესებს. რეჟიმმა შექმნა მთელი კლასი ინკვიზიტორებისა რომელიც გახდა ნამდვილი პატრონი მთელი მიწა-ადგილის; ასე რომ რეფორმატორმა წინაალმდეგ მისი კეთილი სურვილებისა ვერა გააწყო რა იმის მეტი რომ ძველი მანდარინები შესცვალა ახალით, მიწის გამნაწილებლებით და კონტროლიორებით». ამ დროს გადაიცვალა მეფეც. მისმა მემკვიდრემ შეაბრუნა პოლიტიკა, დააბრუნა ემიგრაცია, დაითხოვა ვანგშეინის მთავრობა და აღადგინა კერძო საკუთრება *).

აი გეგმიანი ეკონომიკის საოცარი მაგალითი, სადაც მშრომელნი განთავისუფლდენ ერთი ბატონობისაგან იმიტომ რომ ჩავარდნილიყვენ მეორე ბატონობაში, სწორეთ ისე როგორც ამას დღეს ვხედავთ კომუნისტურ რუსეთში. ცხადია, სოციალიზმის დამახასიათებელია არა დაგეგმილი ეკონომიკა, არამედ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობა, კლასების გაუქმება და მათ ალაგას ერთი მშრომელთა თავისუფალი საწარმოვო ასოციაციათა დაარსება. ეტატიზმი კი თავის საშოდან ბუნებრივათ იძლევა ახალ ბატონებს, მთელ კლასს, რომლის ბრძანებლობა კერძო პირთა უფრო მკაცრი და შეუდრეკელია. ის აბამს მშრომელთ, გედის სიტყვით რომ ვთქვათ, როგორც მუცლით, ისე კისრით. ეს ახალი კლასი გახლავთ ბიუროკრატია, მოხელენი. ეტატიზმის გზა და ხიდია ფუნქციონარიზმი. ამით აიხსნება მოხელეთა ინტერესების დაყენება პროლეტარიატის ინტერესების გვერდით და მათი დაცვა სოციალისტურ საქმეთ. საფრანგეთის სოციალისტური პარტია იმდენათ ააფორიაქა ამ საკითხმა, რომ საჭიროთ მოწვეულ იქნა ავინიონის კონგრესი მის მოსაწესრიგებლათ. კონგრესმა დაიჭირა მოხელეთა მხარე.

ყველა პოლიტიკური სისტემა უეჭველათ ხატავს მცხოვრებთა რომელიმე წრის, რომელიმე კლასის ინტერესებს, უამისოთ ხომ ის არც კი იარსებებდა. საზოგადოება ეკონომიური თვალსაზრისით იყოფა ორათ: კლასები მწარმოებელი და გამნაწილებელი, ანუ ღირებულებათა შემქნელნი და ამ ღირებულებათა გადამტან-გადმომტანნი, მოდარაჯენი და მართველნი. პირველი კატეგორიის დარგებია: მრეწველობა, სასოფლო და სატყეო მეურნეობა, ხელოსნობა; მეორისაა: ვაჭრობა და ტრანსპორტი, სახელმწიფო და საზოგადო ორგანოები მოსამსახურენი, საექიმო-სასანიტარო საქმე, შინამოსამსახურეობა. ვაჭრობის კატეგორიას ეკუთვნის ფულით ვაჭრებიც, ე. ი. ბანკირები, ბირჟევიკები და სხ. ყველა ამათ შორის ეტატიზმი ეთანხმება მხოლოდ ამ მეორე კატეგორიის ხალხს, ყველა იმათ ვინც ცხოვრობს საზოგადო კასიდან: ჯამაგირებით, სესხება-გასესხებით, სახელმწიფო რენტებით, იჯარებით, საარჩევნო უფლებებით, თავისუფალი პროფესიით, საადმინისტრაციო პოსტებით, მთელი ხროვა ადამიანებისა, რომელნიც თავს დასტრიალებენ მწარმოებელთა კლასებს და მათ მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულებას ინაწილებენ. ამიტომ სრულიად არ არის მოულოდნელი რომ მრეწველი ბურჟუაზია და პროლეტარიატი წინაალმდეგია ეტატიზმის, პირველი ინდივიდუალიზმის დროშით, მეორე სოციალური დროშით, ვინაიდან სახელმწიფოსათვის დაყმობა მათთვის ორივესთვის საზარალოა. ასეთივე მდგომარეობაშია გლეხობა და ხელოსნობა. არც ერთ ამ კლას ალაგი არ აქვს სახელმწიფოს აპარატებში, პირიქით ეს აპარატები ცხოვრობენ მათი ჯიბით და ანგარიშებით. მათი ინტერესია ნაკლები აპარატი, იაფი აპარატი, სახელმწიფოს ფუნქციების შემცირება, ხარჯების შემოკლება, ეტატიზმის ძირშივე მოჭრა.

ამნაირათ, ეტატიზმის შედეგია არა ადამიანის ექსპლუატაციის შემცირება, არა კლასთა ბატონობის დასუსტება, არამედ იმ ექსპლუატაციის კიდევ უფრო გამწვავება, მწარმოებელი კლასების ალაგას მუქთა ხორა კლასების გამრავლება, გაძლიერება და მთელი მოსაქმე ერის მათ ყმობაში ჩაყენება.

ეტატიზმის აუცილებელი შედეგია დესპოტიზმი. სოციალიზმი იღებს რა პირველს, ებრძვის ამ მის დასკვნას. შესაძლებელია ეტატიზმის და თავისუფლების შეთავსება?

(შემდეგი იქნება)

ნ. ჟ.

---

*) E. Reclu L'Empire du milieux, 1902. M. Hue: L'Empire chinois, 2 volume 1854.

Arpajon— Imprimerie de *La Gazettede Seine-et-Oise*.

Le Gérant ; René Toussaint.